საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 52 (72) | შაბათი, 16 მარტი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი

ზვიად გამსახურდია:

„კრემლი ულტიმატუმებით გველაპარაკება“

„ნეზავისიმაია გაზეტას“ სპეციალურმა კორესპონდენტმა ანდრია კარაულოვმა 5 მარტს თბილისში ინტერვიუ ჩამოართვა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზვიად გამსახურდიას

— რამდენად გცალიათ ჩემთვის?

— მე მგონია, თხუთმეტიოდე წუთს.

— უზენაესი საბჭოს პრესცენტრში ტელევიზორი დგას. სანამ თქვენ გვახლებოდით, ჩვენ — მე და ჩემმა ქართველმა კოლეგებმა — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახურის მორიგი გამოშვება ვნახეთ. ოსეთით დაიწყეს. არა მარტო გვიამბეს, გვიჩვენეს კიდეც — მთელ მსოფლიოს, — თუ რა ხდება აქ. რას ფიქრობთ ხოლმე, როცა ეკრანზე ასეთ სიუჟეტებს ხედავთ? რას გრძნობს ასეთ წუთებში საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე?

— იცით რა, საქართველოს წინააღმდეგ ომია გაჩაღებული. ნამდვილი ომი. ყველა თვალსაზრისით. ომი — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, აშკარა ომი, ანუ შეიარაღებული თავდასხმა. შემდეგ: ომი, რომელიც საქართველოს გამოუცხადეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა. ნამდვილი საინფორმაციო ბლოკადაა. ტელევიზია, რადიო და მოსკოვში გამომავალი თითქმის ყველა გაზეთი ე. წ. სამხრეთ ოსეთზე მხოლოდ ისე ლაპარაკობს, როგორც კრემლს სურს. მეორე ბლოკადაა ენერგეტიკული: გაზი, ელექტრობა, სასურსათო მომარაგება...

ანუ, როგორც ხედავთ, ყოველგვარი საშუალებებით გვეომებიან. ჰოდა, რაკი ომია, რაღა უნდა გვიკვირდეს? მით უმეტეს, თუ ასეთი ბარბაროსული იმპერია გვეომება.

ეგრეთ წოდებული სამხრეთოსური კონფლიქტი — ეს მოსკოვის სადამსჯელო ოპერაციაა. მე ვუთხარი გორბაჩოვს: აშკარად ვგრძნობთ, რომ ცხინვალში ყველაფერი ბალტიისპირული სცენარით ვითარდება, ოღონდ საქართველოში ინტერფრონტი არ არის, აქ იგი წარმატებით შეცვალეს ოსი ექსტრემისტებით. საბჭოთა არმიის რეგულარული ნაწილები მათ იარაღით ამარაგებენ და ყოველნაირად ეხმარებიან. ისინი აქ ქირაობენ მეტყვიამფრქვევეებს, სნაიპერებს; რაკეტებს, უახლეს ტექნიკას, ყოველგვარ საჭურველს აძლევენ — ყველაფერს, რაც გნებავთ. ჰოდა, ისინიც ომობენ. რა უნდა მოსკოვს? საქართველოში თავისუფალი არჩევნები გაიმართა, კომუნისტური წყობილება დაემხო და ხელისუფლება შეიცვალა. ეს ნამდვილი რევოლუცია იყო. სწორედ მის წინააღმდეგ ომობენ. რა მიზანი აქვს ცენტრს? უწინარეს ყოვლისა ის, რომ სამაჩაბლო მოსწყვიტონ საქართველოს. ჯერ წინადადება მოგვცეს, სამ დღეში საგანგებო წესები შემოგვეღო აქ, ჩვენ ეს მიუღებლად ჩავთვალეთ, ახლა, როგორც ჩანს, მალე გამოვა პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც თვითონ შემოიღებს ამ საგანგებო წესებს, როგორც ეს ყარაბაღში იყო, და სამაჩაბლოს გამოაცალკევებს საქართველოსგან. ესე იგი, ულტიმატუმი წამოგვიყენეს. მე პირადად გორბაჩოვმა წამოიყენა ეს ულტიმატუმი, მართალია, ზეპირი, მაგრამ ეს მაინც ულტიმატუმია: ხელი მოაწერეთო სამოკავშირეო ხელშეკრულებას, თორემ ის, რაც სამხრეთ ოსეთში ხდება, უარეს ფორმებში გაგრძელდებაო. აი, ასე, მოკლედ და ნათლად.

— თქვენ რა უპასუხეთ?

— რასაც ვფიქრობდი. რაც მას უნდა, არ გამოუვა, და ეს ქართველი ერის პოზიციაა.

— მაგრამ, თუ ასე განაგრძეს, ომი იქნება.

— იქნება, რა თქმა უნდა. იქნება. სანამ იმპერია არსებობს, ყველანი ასეთ მდგომარეობაში ვიქნებით.

— მერედა, სად არის გამოსავალი, ბატონო ზვიად?

— მსოფლიოსთვის არის გამოსავალი? კაცობრიობისათვის? თუ არის, მაშასადამე, ჩვენთვისაც იქნება. ერთადერთი გამოსავალია თავი დავაღწიოთ ამ იმპერიას. მეტი არაფერი.

— ლანდსბერგისთან რა გილაპარაკიათ?

— ველაპარაკე. მაგრამ რას გვიშველის? თვითონაც ამ დღეშია.

— ელცინთან?

— არც ამას აყრია კარგი დღე. უნდა შევხვედროდით ერთმანეთს, მაგრამ რატომღაც ჩაიშალა.

— მაშასადამე, თქვენი აზრით კატასტროფული ვითარებაა?

— ძალიან მძიმე. ძალიან. ახლა საქართველოში მიღებულია კანონი გარდამავალ პერიოდზე. ასეთი პერიოდი აუცილებელია, და მაინც, არ დავყოვნდებით. ახალ პოლიტიკურ სტრუქტურებს დავამტკიცებთ. რაიონებში პრეფექტებს დავნიშნავთ, რეფორმებს განვახორციელებთ, მივიღებთ კანონებს დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეობის, საკუთრების, მიწის, სამართალდამცავი ორგანოების დეპარტიზაციის, ეროვნული გვარდიის შესახებ და ბევრ სხვას. ჩვენ მტკიცედ ვადგავართ ჩვენს პოზიციებს და გვწამს მისი.

— ხალხი მხარს გიჭერთ?

— დიახ. სხვაგვარად როგორ იქნება? განა ხალხი ვერ ხედავს, თუ რა ხდება? ვერ ხედავს, საქართველოს ოს ექსტრემისტებთან ერთად როგორ ებრძვიან საბჭოთა არმიის ნაწილები? ხალხი ყველაფერს ხედავს, ყველაფერს: როგორ უგზავნიან იარაღს, როგორ აძლევენ რაკეტებს...

— ცხინვალში ელექტრობა არ არის. ქალაქის სამშობიარო სახლში ტემპერატურა მინუს ექვსია, განა ეს შეიძლება, ბატონო ზვიად?

— ენერგეტიკოსებმა ცხინვალს გაფიცვა გამოუცხადეს. რატომ? იმიტომ, რომ ქალაქში არის ქარხნები, სადაც ექსტრემისტებს იარაღს უმზადებენ. როგორ შეგვიძლია გაფიცვა ავუკრძალოთ? მაგრამ კიდევაც რომ მოგვეთხოვა, კიდევაც რომ შეგვეძლოს ელექტროენერგიის ჩართვა, ცხინვალის შემოგარენის მოსახლეობა ისეა აბობოქრებული, რომ სულ ერთია — გამორთავს. მაგრამ, როგორც კი ოსი ექსტრემისტები შეწყვეტენ აშკარა ბანდიტიზმს, განიარაღდებიან, ცხოვრება სწრაფად ჩადგება თავის ჩვეულებრივ კალაპოტში, გარწმუნებთ.

— მაშასადამე, მოსკოვთან დიალოგის საშუალებანი ამოიწურა?

— რაღა თქმა უნდა, ამოიწურა. გორბაჩოვი ერთადერთ ულტიმატუმს გვთავაზობს — ხელი მოაწერეთო სამოკავშირეო ხელშეკრულებას. არ მოაწერთ და, ვაი თქვენო. აი, ასეთი ურთიერთობა გვაქვს.

— რა აზრისა ხართ შევარდნაძის გადადგომაზე?

— ეს კრემლის ნაბიჯი იყო. როგორც ყოველთვის, — შენიღბული და, ძალზე ეშმაკური, იმ მიზნით, რომ შევარდნაძე დემოკრატიისთვის წამებულად წარმოედგინათ. იგი და გორბაჩოვი. ესაოდა, ასეთი ნაბიჯი რეაქციულმა ძალებმა გადაადგმევინესო. ჰოდა, გაუკეთეს ასეთი „იმიჯი“ ორივეს. სინამდვილეში კი, მე მგონია, ყოველივე ეს კრემლს იმისთვის სჭირდებოდა, რომ, ერთი მხრივ, დაეშოშმინებინა სამხედროები და რეაქციული ძალები, მეორე მხრივ კი ისევ და ისევ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლისათვის დაებრალებინა ყველა შეცდომა და მარცხი საგარეო პოლიტიკაში. ეს თამაშია.

— კეთილი. თქვენ როგორ გგონიათ, შევარდნაძე როდისმე დაბრუნდება საქართველოში?

— არა მგონია.

— აქ რამდენადმე იგრძნობა მისი გავლენა?

— ნულოვანი.

— რაგვარ სიტუაციაშია კომპარტია?

— პრაქტიკულად აღარ არსებობს. ხალხი მხარს არ უჭერს. ზუსტად ასე შეიძლება ითქვას: იგი აღარ არსებობს.

— მაშ, რატომ არ იძლევა პარტია თავის შენობას? როგორ გგონიათ, კარგად გაიგეს ის, რაც მოხდა? თუ მაინც რაღაცის იმედი აქვთ?

— ძნელი სათქმელია. ალბათ, იმედი აქვთ. რაც შეეხება შენობას, ეს მოსკოვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამბავია. ასეთი საკითხი უკვე დამდგარა, თანაც — არაერთხელ. კომუნისტები გვეუბნებიან, ხალისით მოგცემდითო შენობას, მაგრამ სსრკ იმუქრებაო, ეს სახლი თავისად მიაჩნიაო. შენობა კი ძალზე სჭირდება მინისტრთა საბჭოს ნორმალური მუშაობისთვის. ხედავთ, რა ხდება: მოსკოვს ვერ გაუბედია, მოსკოვს ვაჟკაცობა არ ჰყოფნის იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ აღიაროს: საქართველოში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია აღარ არსებობს, რომ იგი პოლიტიკური გვამია, თუმც ჩვენდამი დაპირისპირებას მაინც არ იშლიან. ყველაზე არ ვამბობ, მათ შორის სხვადასხვაგვარი ადამიანები არიან. არიან მეცნიერები, აკადემიკოსები — აბა, ამათ რა ეკომუნისტებათ? ფორმალურად კომუნისტობენ, ამ პარტიაში იმიტომ შევიდნენ, რომ იძულებული გახდნენ...

— როგორი ურთიერთობა გაქვთ ინტელიგენციასთან?

— ინტელიგენციასთან — კარგი, ინტელიგენცია პარლამენტშია. მის უმრავლესობას შეადგენს. მაგრამ არიან ზოგ-ზოგი ინტელიგენტები, პოლიტიკურ სარბიელზე ხელმოცარულნი, ახლა გაბოროტებულნი არიან ჩვენს წინააღმდეგ და ამიტომ იცავენ „მხედრიონს“, კრიმინალებს. აი, მაგათთან კი არა გვაქვს კარგი ურთიერთობა. „მხედრიონის“ ბანდები აქ, საქართველოში, პირდაპირ ეხმარებოდნენ კრემლს. შავნაბადას ინციდენტი სხვა არა არის რა, თუ არა ვითომდა შეიარაღებული აჯანყების ინსცენირება. სცენარი მოსკოვში დაიწერა, და „მხედრიონის“ ხელმძღვანელობა, იგივე ჯაბა იოსელიანი რომ არ დაგვეპატიმრებინა, საქართველოს ტერიტორიაზე, უკვე დღეს, შეიძლებოდა ყოფილიყო საგანგებო წესები. აი, ეს არის ცენტრის მიზანი.

— თქვენს უკანასკნელ პრესკონფერენციაზე გვაგრძნობინეთ, რომ გამორიცხულად არ მიგაჩნიათ დააპატიმრონ გიორგი ჭანტურია, ერთ-ერთი ლიდერი ეროვნული კონგრესისა — პარლამენტგარეშე ოპოზიციისა, რომელშიც, რამდენადაც ვიცი, ორმოცამდე პარტიაა გაერთიანებული. ამის პასუხად დასავლეთში წერენ, რომ საქართველოში თქვენი გამარჯვების შემდეგ პირადი ძალაუფლების რეჟიმი მყარდება, თქვენზე ამბობენ — ახალმოვლენილი დიქტატორიაო. თუ იცით რაიმე ამ პუბლიკაციებზე?

— ყოველივე ეს კრემლის ჭორებაა. აი, ასე ვიტყოდი. და კიდევ — კრემლის პროპაგანდაა. მათი აგენტებიც გვყავს საქართველოში.

— როგორ უყურებთ ამას?

— როგორ უნდა ვუყურებდეთ? როგორც მტრის ხრიკებს. კრემლს საქართველოში ძალზე ბევრი აგენტი ჰყავს. ძალზე ბევრი. არიან აქედან, თბილისიდან გაქცეული მოსკოველი ქართველებიც, საქართველოს მოღალატეები. აი, მაგათი ნახელავია ეგ. მათ კი, ხელს უწყობენ შევარდნაძე, მგელაძე, ფოფხაძე და სხვა პარტიული ფუნქციონერები — ყოფილნი და ამჟამინდელნი.

— თქვენ როგორ ურიგდებით ამ „აგენტების“ თქვენთან ყოფნას?

— ვურიგდებით? არავითარ შემთხვევაში. ყოველ ნაბიჯზე ვამხელთ.

— თუ გაქვთ ამ მხილებათა კონკრეტული მაგალითები?

— მე მგონია, ჩვენში ზოგზოგები სამართალში მიეცემიან ცილისწამებისთვის. ცილისწამება პოლიტიკური დანაშაული არ არის, არამედ სისხლისსამართლებრივია. თუ მე ვიტყვი, რომ თქვენ კაცი მოკალით და ამას გაზეთში დავბეჭდავ, თქვენ შეგიძლიათ სასამართლოში მიჩივლოთ, ჰოდა, ჩვენც ვუჩივლებთ სასამართლოში — ზოგიერთებს. და იცით რატომ, აი,.. ბეჭდავენ, თითქოს ჩვენ მღვდელი მოგვეკლას. არ კი ასახელებენ, ვინ, რომელი მღვდელი მოვკალით. როგორ გგონიათ, ამისთვის სამართალში არ უნდა მივცეთ?

რაც შეეხება ჭანტურიას, მისი მოქმედება არ ჰგავს პოლიტიკოსისას. და ეს არაერთხელ მითქვამს საჯაროდ. ჭანტურიას პარტია „მხედრიონის“ ბანდებს შეეზარდა. მისი პარტია თავით ფეხებამდე შეიარაღებულია, მისი წევრები უკვე დაპატიმრებული არიან ქურდობისთვის, ყაჩაღობისთვის, ავტომობილების გატაცებისათვის. ასეთ ხალხს პოლიტიკურ მოღვაწეებს ვეღარ ვუწოდებთ. მაშ, როგორ? აქ პოლიტიკით ნიღბავენ სისხლის სამართლის დანაშაულს. მოვა დრო, და დავამტკიცებთ, რომ მათი „ეროვნული კონგრესის“ არჩევნები ფალსიფიცირებული იყო, — და დავამტკიცებთ დოკუმენტურად, რეფერენდუმით. სახალხო რეფერენდუმს მოვაწყობთ და შევიტყობთ, მოსახლეობის რამდენმა პროცენტმა მისცა მათ ხმა არჩევნებში. მაშინ ყველანი მიხვდებიან, რომ ეს საქართველოს მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილი იყო. რაც შეეხება „მხედრიონს“, ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეურიგდება შეიარაღებულ ფორმირებათა საქმიანობას, რომლებიც მთავრობას არ ემორჩილებიან. ვერ ნახავთ ქვეყანას, სადაც ეს შესაძლებელი იყოს. მით უმეტეს ბანდიტური დაჯგუფებებისა, რომლებიც პირდაპირ თავზარს სცემენ მოსახლეობას. ჯაბა იოსელიანის დაპატიმრება, რა თქმა უნდა, იძულებითი ღონისძიებაა. მან პასუხი უნდა აგოს სისხლის სამართლის დანაშაულისთვის.

თვითონ ყოფილი პატიმარი ვარ. ოთხჯერ ვიყავი პატიმრობაში. ჩემთვის ადვილი როდია კაცის დაპატიმრება. ვიცი, რა არის სატუსაღო და რეპრესიები. მაგრამ მთელი ხალხი ფეხზე დადგა და გვაიძულა, დიახ, გვაიძულა, საქართველოში წესრიგი დაგვემყარებინა. უყურეთ, სადამდე მივიდა საქმე: კაცს საღამოობით ქუჩაში გამოსვლისა ეშინოდა. უბრალოდ, ვერ გამოდიოდა. ბავშვებს სკოლაში აღარ უშვებდნენ, რადგან არ იცოდნენ, მივა ბავშვი სკოლამდე თუ გზაში მოიტაცებენ. ჰოდა, ხალხმა მოითხოვა. ვეღარ შევურიგდებოდით ასეთ მდგომარეობას.

— მე კი, აი, რას ვფიქრობ, ბატონო ზვიად. რატომღაც მგონია, რომ ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებასთან ერთად შეიძლება გადახრა მოხდეს მეორე მხარეს. აი, სტურუაც თბილისში არ სდგამს „სამ დას“, არამედ ინგლისში მიდის...

— ეს მისი პირველობაა. სტურუას სურს დასავლეთის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში იყოს თორემ ჩვენში ყველა პირადაა. ყველა, ჩეხოვისთვისაც და კიდევ ვისთვისაც გნებავთ. ვინ არის ჩვენში რუსული კულტურისა თუ რუსული ლიტერატურის წინააღმდეგი? ჩვენში რუსული არმიის, რუსული ბლოკადის, წინააღმდეგი არიან, დიახ. მე არაფერი მაქვს ჩეხოვის საწინააღმდეგო.

— როცა საქართველოს მიმართეთ მესხეთელი თურქების საკითხზე, თქვენ ბრძანეთ, „არ დავუშვებთ საქართველოში არც ერთი ეთნიკური თურქის ჩამოსახლებას“ და კიდევაც ვიბრძოლებთ ამ ადამიანების თურქეთში რეპატრიაციისათვის. ამავე დროს, პარლამენტის ტრიბუნიდან დღენიადაგ ამბობთ, საქართველოსთვის უცხოაო ეთნიკური სიძულვილი. როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს ეს ორი რამ?

— არა. საქართველოში აზერბაიჯანიდან ჩამოსახლებულები (და სხვა არაქართველნიც) ძალზე ხშირად ფრიად აგრესიულად იქცევიან მკვიდრი ქართველი მოსახლეობის მიმართ. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის მთლიანობის ხელყოფის პირდაპირი ცდებიც კი არის. საკუთარ მიწა-წყალზე მკვიდრი ქართული მოსახლეობის შევიწროვება ნებისმიერი საერთაშორისო ნორმით დანაშაულია. განა მოსათმენია ქართული მიწების მიტაცება, უნებართვო მშენებლობა? ან ის, რომ საქართველოში ქართველებს უკანონოდ უნგრევენ სახლებს? განა ეს შესაწყნარებელია? ასევე, ჩვენ არ გვსურს უკონტროლოდ შემოვუშვათ ჩვენს ტერიტორიაზე მრავალი ათასი უცხო მოქალაქე. ამას ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იზამს. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში არსებობს მოქალაქეობის კანონი. საქართველოში ჯერჯერობით ასეთი კანონი არ არის. მაგრამ ჩვენი მოსახლეობის 35 პროცენტი ისედაც არაქართველია. ჩვენთვის ეს ე. წ. თურქ-მესხები უცხოელები არიან. ამასთანავე დარწმუნებული ვარ, რომ როგორც კი კრემლის ჩარევა შეწყდება, საქართველოში ეთნიკური პრობლემები სწრაფად მოგვარდება. ისევ და ისევ თითქმის ყველაფერი კრემლზეა დამოკიდებული. ანუ იმაზე, უარს იტყვის თუ არა კრემლი ჩვენს წინააღმდეგ ომზე. აი, მთავარი მიზეზი. და თუ არ იტყვის უარს, მაშინ დასავლეთი — იმედი მაქვს — ათქმევინებს უარს მოსკოვს აგრესიულ, ავანტიურისტულ პოლიტიკაზე.

— გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთვის ხომ არ მიგიმართავთ?

— დიახ, ამ ორიოდე დღის წინ. ჩვენ მსოფლიოს ყველა მთავრობას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციებს მივმართეთ.

— თუ არიან მოსკოვში პოლიტიკოსები, რომელთა იმედი გაქვთ? ნურავის დაასახელებთ, პირდაპირ გვითხარით — ჰო თუ არა?

— პოლიტიკოსები — საეჭვოა... არიან ადამიანები. ზოგიერთი დეპუტატი, კიდევ რამდენიმე კაცი, მაგრამ არა წამყვანი ფიგურები.

— გორბაჩოვი ხშირად გირეკავთ?

— კი.

— როგორც თანასწორი თანასწორთან ისე ლაპარაკობთ თუ, მაინც... როგორც პრეზიდენტი, ისე გირეკავთ?

— არა. პირიქით, ყოველთვის ცდილობს ისე... ტაქტიანად მელაპარაკოს, მაგრამ, იცით, მაინც მუდამ ისმის ისეთი ფრაზები, თუ სამოკავშირეო ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერთ, ცუდად გექნებათო საქმე არა მარტო სამხრეთ ოსეთში, არამედ აფხაზეთშიც, თქვენთვის ეს კარგი არ იქნებაო...

— თუ ასეა, მართლაც ულტიმატუმი ყოფილა.

— ულტიმატუმი. დიახ. მაგრამ ამას ისე ამბობს ხოლმე... ვითომ ხუმრობით.

— კარგი ხუმრობაა...

— თითქოს ვერც ჩაეჭიდები სიტყვას, ისე იტყვის ხოლმე... აი... ვითომდა მთლად სერიოზულად არა. კი არ მიბრძანებს, არამედ დაახლოებით ასე: აი, ხედავთ, რა მდგომარეობა შეიქმნა იქ. ჰოდა, კიდევ უფრო გაუარესდება, მოიფიქრეთ, იქნებ მოაწეროთ ხელი.

გეგონება თანაგიგრძნობსო.

— მართლა უნდა აქ, საქართველოში ჩამოსვლა?

— რა ვიცი, ამბობს, მინდაო.

— მერედა, როგორ შეხვდება ხალხი?

— ვშიშობ, რომ ძალზე ცუდად.

— ზუსტად 15 წუთი გავიდა, ბატონო ზვიად. მაგრამ თუ გცალიათ, განვაგრძობდი.

— კეთილი.

— როგორ გგონიათ, გორბაჩოვს აქვს მომავალი?

— იცით... იქნებ აქვს კიდეც. ისეთი მოხერხებული კაცია, მე მგონია, შეიძლება ამ სიტუაციიდანაც გამოძვრეს. მაინც... ძალზე მარჯვე კაცია. დიდი დიპლომატია.

— თქვენ მართლა აღთქმული გაქვთ „კრემლის ზღურბლს გადააბიჯოთ მხოლოდ როგორც თავისუფალი საქართველოს მოქალაქემ“?

— დიახ. არ გადავაბიჯებ. აზრი არა აქვს. მე არ შემიძლია იქ ვიყო ასეთი პირობით: — აი — მონა, აი — ბატონი.

— მაგრამ მაშინ ხომ გეტყვიან, რაკი ასეთ პოზიციას დაადექით, თქვენ თვითონ შლითო გორბაჩოვთან დიალოგს?

— დიალოგს კეთილი ნება სჭირდება. და არა ულტიმატუმები. თუ გორბაჩოვი თავის საშინაო პოლიტიკას გადახედავს, დიალოგი იქნება.

— მაგრამ იქნებ საქართველომ მაინც მოაწეროს ხელი სამოკავშირეო ხელშეკრულებას?

— ჩვენი ხალხი დამოუკიდებლობისთვის იბრძოლებს. დამოუკიდებლობის აღდგენისთვის. აი, ახლა რეფერენდუმს მოვაწყობთ. ერთადერთი კითხვა იქნება: გსურთ თუ არა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე? ამას ვკითხავთ ყოველ კაცს. ყოველს! და ჩვენი ხალხი მკაფიოდ და ნათლად იტყვის ჰოს ან არას. რა შუაშია სამოკავშირეო ხელშეკრულება? რომელ „კავშირზეა“ ლაპარაკი? ჩვენ არასოდეს არავითარ „კავშირში“ არ შევსულვართ. ძალით შეგვიყვანეს. მაშ, როგორ შეგვიძლია ჩვენი თავი საბჭოთა კავშირის წევრად ჩავთვალოთ?

— საქართველოს დამოუკიდებლობის სახელმწიფო აქტი ხელმოწერილია 1918 წლის 26 მაისს. საქართველო რუსეთს გამოეყო და ამისთვის ლენინი არავის არ დაუმუნათებია. შემდეგ, 1921 წელს, საქართველოში სამხედრო გადატრიალება მოხდა და საქართველო — უკვე ძალად „გასაბჭოვდა“. მიუხედავად ამისა, ამ 70 წლის მანძილზე საქართველო და კავშირი შეეხორცნენ ერთმანეთს. ახლა უკვე შეუძლებელია ამ კვანძის გაჩეხვა ისე, რომ ზიანი არ მიადგეს არც ერთ, არც მეორე მხარეს. მესმის, რომ გორბაჩოვმა 9 აპრილისა და სამხრეთ ოსეთის ამბების შემდეგ მოიმდურა ქართველი ხალხი. ბევრი რამის პატიება შეუძლებელია. მაგრამ თუ ისეთი კაცი იქნება, როგორიც ელცინია, იქნებ საქართველოს აღარც დასჭირდეს გამოყოფა? გორბაჩოვს ნუ დავუკარგავთ ამას, ახლა დღენიადაგ იმეორებს: მეტი სუვერენიტეტი, მეტი, კიდევ უფრო მეტიო...

— დიახ, სიტყვით. მაგრამ როგორც კი გადავწყვიტეთ ეროვნული გვარდია, საკუთარი შინაგანი ჯარები შეგვექმნა, მოსკოვიდან მუქარა დაიწყო: არ გაბედოთო და ასე შემდეგ. აი, ასეა. ახლა, მას შემდეგ, რაც გორბაჩოვმა თავაზიანად გამაფრთხილა, მოემზადეთ, აფხაზეთში შეიძლება ოსეთის მსგავსი ამბები მოხდესო, ირკვევა: აფხაზეთში 250 შეიარაღებული მედესანტე ჩამოსულა და პანსიონატში დაბინავებულა. ეს რა, პროვოკაცია არ არის? როგორ შევხედოთ ამას?

— მაშასადამე, მოსკოვი პირდაპირ გაიძულებთ, რომ ეროვნულმა გვარდიამ საპასუხო მოქმედება დაიწყოს?

— არა მგონია. ეროვნული გვარდია ჯერ არ არსებობს. მეომარი არა გვყავს. შინაგანი რაზმები და მილიცია — ეს არის და ეს.

— ცოტანი არიან?

— დიახ, რა თქმა უნდა.

— რატომ არ გამოაქვეყნებთ დოკუმენტს, რომელზეც ლაპარაკი იყო 23 თებერვლის პრესკონფერენციაზე? მაშინ თქვენ ბრძანეთ, ოსი ექსტრემისტების ხელმძღვანელები ჩოჩიევი და კულუმბეგოვი მოსკოვის უშიშროების თანამშრომლები არიანო, და „ამას ადასტურებს შინაგან ჯარებში მიღებული საიდუმლო შიფროგრამა მოსკოვიდან, რომელიც შინაგან ჯარებს პირდაპირ უბრძანებს გაათავისუფლონ კულუმბეგოვი ნებისმიერი საშუალებით და წაიყვანონ მოსკოვში“. სად არის ეს შიფროგრამა? რატომ არ დაიბეჭდა გაზეთებში?

— დიახ, ეს უნდა. გაკეთდეს. სადმე მივაგნებთ ამ დოკუმენტს.

— და მაინც, როგორ დაუშვა მოსკოვმა, რომ სწორედ თქვენ აგირჩიეს საქართველოში?

— ძალიანაც არ უნდოდა, ძალიან... ყველაფერი იღონა. აი, ამისთვის სჭირდებოდა ჯაბაც და ყველა დანარჩენიც... საქართველოში ისინი მეხუთე კოლონას წარმოადგენენ და მათ ავალებდნენ ჩაეშალათ ჩემი საარჩევნო კამპანია. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე იყო, როგორც ყველგან კეთდება ხოლმე. მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ყველაფერი იღონეს, მაგრამ არ გამოუვიდათ. ხალხმა არ დაუშვა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა ხალხმა მხარი დამიჭირა.

— მაინც, რას შვრებოდნენ ისინი?

— რას? ყველაფერს! საქართველოში 12 ათასი კაცი შეაიარაღეს და მზად იყვნენ ყველანი დაგვლეჯათ. იარაღს კი სუკი და სამხედროები აძლევდნენ ფარულად, სხვისი ხელით.

— ამის დამტკიცებაც შეიძლება?

— დამტკიცდება. აუცილებლად. ყველაფერი იქნება.

— არ გეშინიათ, რომ შეიძლება მოგკლან?

— ძალიანაც შეიძლება, ყოველდღე მემუქრებიან. ამას გიზამთო, იმას გიზამთო. წერილებსაც მიგზავნიან, ტელეფონითაც მირეკავენ. ერთი სიტყვით, არაფერს არ თაკილობენ.

— როგორ ცხოვრობთ ასეთ ატმოსფეროში?

— ნორმალურად. მივეჩვიე.

— ნორმალურად?

— განა მთელი ცხოვრება ასე არ გავატარე? მთელი ცხოვრება.

— რას იტყოდა დღეს კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს მომავალზე? თქვენს პოზიციაზე? იმ პოლიტიკურ კურსზე, რომელიც მისმა შვილმა გამოაცხადა?

— მამაჩემი ჩემი სულიერი მოძღვარი იყო. ყოველთვის ესმოდა ჩემი. ცხადია, მიფრთხილდებოდა, არ უნდოდა, რომ რეპრესიების მსხვერპლი გავმხდარიყავი, გადავეციმბირებინეთ და ა. შ. როცა გარდაიცვალა, ჯერ არც კი გაცივებულიყო, შინ გვესვენა, რომ ნაცნობი პროკურორი მეწვია და გამაფრთხილა, რამე იღონეო, რადგან, ალბათ, მამაშენის დაკრძალვამდე დაგაპატიმრებენო. თუ წინანდელი ცეკას მდივნები — კახიანი, მამულია, მგელაძე და სხვები კონსტანტინე გამსახურდიას საქვეყნოდ ებრძოდნენ, შევარდნაძე მას, ჩვენს ოჯახს შეფარვით ებრძოდა, და ამას ადასტურებს უამრავი დოკუმენტი, უამრავი მოწმე. ის, რაც მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ დატრიალდა, უკვე ყველამ იცის. 14-დღიანი ჩხრეკა, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას სახლში მოაწყო შევარდნაძის მითითებით სუკის ოთხმოცამდე თანამშრომელმა, დარბევას უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩხრეკას, რომლის დროსაც უამრავი უნიკალური ხელნაწერი და წიგნი მოისპო და დაიკარგა, ხოლო კალამი, რომელსაც მამაჩემი ხუმრობით „გენერალს“ უწოდებდა, რადგან ამ კალმით იყო დაწერილი ყველა მისი დიდი ნაწარმოები, სუკის თანამშრომლებმა მოიპარეს, და შერჩა კიდეც შევარდნაძის დაცვის ერთ-ერთ თანამშრომელს. აი, ასე იყო.

— რამდენი ენა იცით?

— რამდენი? სამი — ევროპული, ძველბერძნული, ლათინურად ვკითხულობ. ცოტ-ცოტა ესპანურად და იტალიურადაც, ოღონდ ლექსიკონით.

— ძველბერძნული რატომღა, თვითონ ენამ გაგიტაცათ?

— არა. მე ხომ ფილოლოგი ვარ. ვთარგმნიდი ჰომეროსს, პირადად ვიცნობ ავერინცევს, ერთადაც კი გვიმუშავია ტექსტებზე.

— ჰოო?

— ჰო, რა თქმა უნდა, ძველსლავურ ტექსტებზე. ძალზე მწყინს, რომ მოსკოველი ინტელიგენციის წრეში ახლა ნაირ-ნაირი ჭორები ვრცელდება. ბევრს ეშინია კიდეც ჩვენთან ჩამოსვლა. ხმები დადის, მანდ ხალხს ხოცავენო, თანაც რუსებსო, შემზარავი ქაოსი და სამოქალაქო ომიაო. ყველაფერი ეს განზრახ კეთდება. ამ ჭორებს სუკი და საკდესი ავრცელებენ, სრული საინფორმაციო ბლოკადაა პრესაში. პროტესტებს ვაცხადებთ, წერილებს ვუგზავნით, მაგრამ არ აქვეყნებენ. აი, მათი სინდისი და მათი სიმართლე. გადახედეთ ცენტრალურ გაზეთებს... ხედავთ ამ სურათს? „აქ ოდესღაც სკოლა იყო“. კი არ წერენ, რომ ეს ქართული სკოლა იყო, გესმით? ვიღაცას კი უთუოდ ეგონება: რაკი სამხრეთ ოსეთია, მაშასადამე, ოსური სკოლა იქნებოდაო. ოღონდ სინამდვილეში პირიქით არის. აი, ასეთი მეთოდები აქვთ. თანაც წერენ, თითქოს ჩვენი დეპუტატი ვიღაც ავაზაკებთან ერთად თავს დასხმია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინას და დაურბევია. ასახელებენ დეპუტატს, ასეთი დეპუტატი კი არ არსებობს. გვარებიც არ ემთხვევა. განა ეს ცილისწამება არ არის? აი, როგორი მეთოდებით გვებრძვიან.

— მაშასადამე, მზად ხართ ბოლომდე ამ გზით იაროთ. თუ სიტუაცია მაინც უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე გგონიათ, და იქნებ შინაგანად რამდენადმე ყოყმანობთ?

— არა, მზად ვარ. მე მზად ვარ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ძალიან მიჭირს. მოსკოვს დათმობა არ სურს. ჩვენ კი მით უმეტეს არ დავთმობთ.

— დღე-ღამეში რამდენ საათს მუშაობთ?

— სულ ცოტა 12 საათს. ზოგჯერ 15-საც.

— საღამოობით რამეს წერთ?

— თუ მოვასწარი. უპირატესად ჩემს იმ წიგნებს ვასწორებ, რომლებიც ახლა გამოდის. აქაც ბევრი სამუშაო მაქვს. მაგრამ ახლა ხელოვნებისთვის არ მცალია. ხომ ამბობენ: როცა ზარბაზნები გრიალებს, მუზები სდუმანო. ასეთია ვითარება.

— როგორ მიმდინარეობს დასავლეთთან საქართველოს ურთიერთობა? რა მოგცათ ამერიკის შეერთებულ შტატებში თქვენი მოადგილის ვიზიტმა?

— ძალზე ბევრი რამ. ჩვენ დასავლეთთან პატიოსანი და პირდაპირი დიალოგის მომხრენი ვართ. ეს ჰაერივით გვჭირდება. ახლა ამერიკაში ზოგიერთი სენატორი აცხადებს, კრემლს საქართველოს არ მოვასპობინებთო, ამას არ დავუშვებთო. მათ შორის, ვიცით, არიან ადამიანები, რომლებმაც ბუშს წერილი გაუგზავნეს და მოსთხოვეს დაგვიცვას, არ დაუშვას საქართველოში მეორე ვილნიუსი.

— კიდევ ორი კითხვა. მაინც, როგორ აფასებთ ელცინის მომავალს? რა მოხდება რუსეთის ამ საგანგებო ყრილობაზე?

— ვხედავ, რომ რუსეთის პარლამენტში დრამატული სიტუაციაა. არ ვიცი, იქ ვინ ვის მოერევა. ისე, ძალზე შემაშფოთებელი ნიშნები ჩანს.

— რატომ არ დააპატიმრეს პატიაშვილი 9 აპრილისთვის?

— იმიტომ, რომ ჩვენი ხალხი შემწყნარებელია და ყველას ყველაფერს პატიობს. ქართველები ბოღმიანი ხალხი არა ვართ. აბა, მიაქციეთ ყურადღება: შემზარავი 9 აპრილის შემდეგ, თბილისში არავითარი სიძულვილი არ იგრძნობა რუსეთისადმი. საერთოდ არ იგრძნობა, არც სხვა ერების მიმართ. ვილას ახსოვს პატიაშვილი? თუმცა მან დანაშაული ჩაიდინა და ამისთვის დაისჯება კიდეც, მაგრამ ხალხს ეს არ ეჩქარება....

„ნეზავისიმაია გაზეტა“.
1991 წ. 7. III.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში

მილიცია ამოცანებს შეასრულებს

— **ცნობილი** მიზეზების გამო, ჩვენი მუშაობის უაღრესად რთული პირობების მიუხედავად, ქართულ მილიციას შეუძლია იმედები გაუმართლოს ხალხს, რომლის ორგანული ნაწილიც იგი არის, — თქვა მოკლე შესავალ სიტყვაში საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა და დასძინა, — ხოლო თუ ვიგრძნობთ, რომ არ ძალგვიძს უზრუნველვყოთ დაკისრებული ამოცანების შესრულება, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა მაშინვე გადადგება.

ასე დაიწყო პრესკონფერენცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკთა კულტურის სახლში. მან უაღრესად ფართო წრის საკითხები მოიცვა. რესპუბლიკური და საკავშირო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ფრანს პრესის სააგენტოსა და ბულგარეთის ტელევიზიის ჟურნალისტებს ბევრი რამ აინტერესებდათ — შიდა ქართლის მდგომარეობით დაწყებული და მილიციის სკოლაში სასწავლო პროცესის ორგანიზაციით დამთავრებული. და ყოველზე მათგანმა მიიღო ამომწურავი პასუხი.

შეხვედრის ლაიტმოტივი, ბუნებრივია, სამაჩაბლოს ამბები გახდა. შეულამაზებლად ითქვა, რომ ქართულ მილიციას, რომლის იქ შეყვანამ თავიდან აგვაცილა კიდევ უფრო მეტი სისხლისღვრა, დიდი ხნის განმავლობაში არავითარ მხარდაჭერას არ უწევდნენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ნაწილები. თუმცა, ალბათ, რამდენად უფრო გაადვილდებოდა მოსახლეობისათვის უკანონოდ შენახული იარაღის ერთობლივად ჩამორთმევა. ეს თავიდან აგვაცილებდა ზედმეტ მსხვერპლს. ვაი, რომ თანამოქმედება მისაღწევი გაგვიხდა, რის გამოც ვკარგავდით ძვირფას დღეებს, კვირეებს.

მინისტრმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ მილიცია იძულებული მონაწილეობდეს ამგვარ კონფლიქტებში, რომლებიც, ამავე დროს, სრულიადაც არ დაწყებულა ეთნიკურ ნიადაგზე. შემთხვევითი არ არის, რომ ქართველები და ოსები საუკუნეთა განმავლობაში მეგობრულად და ძმურად ცხოვრობდნენ. ფაქტები კი მოწმობენ, რომ ძმათაშორისი ომი სამაჩაბლოში პროვოცირებულია მესამე ძალის მიერ, რათა ხელი შეუშალოს მომაგრებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მალე, თქვა ბატონმა დ. ხაბულიანმა, ადამიანები გაიგებენ დღემდე უცნობ ბევრ რამეს მოვლენათა მექანიზმის შესახებ, მათ შორის, დაპატიმრებული ტ. კულუმბეგოვის ჩვენებებიდანაც.

არაერთგზის აღიძრა შეიარაღების თემა, თანაც, ორი ასპექტით. გამოითქვა საყვედური საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადრინდელი ხელმძღვანელობის მისამართით, რომელმაც ლამის განაიარაღა ქართული მილიცია, დაუშვა რესპუბლიკიდან იარაღის გატანა. მინისტრის მოადგილეებმა ბატონებმა გივი კვანტალიანმა და რომან გვენცაძემ განმარტეს, რომ იმ პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო არ დამორჩილებოდნენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანებას. მიუხედავად ამისა, მოხერხდა იარაღის ნაწილის შენახვა ჩვენი მილიციისათვის. მინისტრი პრინციპულად დაეთანხმა იმას, რომ მხოლოდ ახლა გახდა საკავშირო სამინისტრო უფრო ლოიალური შინაგან საქმეთა რესპუბლიკური ორგანოების საჭიროებებისა და პოზიციის მიმართ, მაგრამ მაინც მიაჩნია, რომ მაშინაც არსებობდა ესოდენ დიდმნიშვნელოვან საკითხში მოქმედების მეტი დამოუკიდებლობის გამოჩენის ხერხები და ფორმები.

მეორე ასპექტია იარაღის უკანონო შენახვა. დამსწრეთ უჩვენეს სამაჩაბლოში ჩამორთმეული იარაღის ნაწილი. დიახ აქ თმა ნამდვილად ყალყზე დაგიდგება: ეს არის არა მხოლოდ შაშხანები — ჭურვებით აღჭურვილი სარაკეტო დანადგარებია. და ყველას აქვს გამოშვების მონაცემები. კარგი იქნებოდა დაგვედგინა წყაროც, რომელიც ექსტრემისტებს ამარაგებს! სამწუხაროდ, შესაბამისმა ორგანოებმა, რომლებსაც საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ მიმართა, მხოლოდ და მხოლოდ დადასტურეს ის ფაქტი, რომ დანადგარები ეკუთვნის არმიის ქვედანაყოფებს. კონკრეტულად რომელს — ამის დადგენა თითქოს არ შეიძლება... რაც შეეხება შეიარაღებულ ფორმირებებს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში, ისინი, თქვა დილარ ხაბულიანმა, მაშინვე არ გამოეხმაურნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადებას არსებული იარაღის ჩაბარების თაობაზე. მაშინ მილიციამ გააფრთხილა, რომ გამოიყენებდნენ კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ღონისძიებებს.

განხორციელდა აქცია „მხედრიონის“ მიმართ. შემდეგ ნებაყოფლობით ჩაგვაბარეს იარაღი „თეთრი გიორგის“ წევრებმა. და მაინც იარაღი მოქალაქეებს ჯერჯერობით აქვთ. მილიცია ამას არ შეურიგდება, რადგან სხვაგვარად არარეალურია დამნაშავეობის თარეშის ალაგმვა. მაშასადამე, ერთხელ კიდევ შესთავაზა მინისტრმა, უმჯობესია ნებაყოფლობით ჩააბარონ იარაღი, და ამით განთავისუფლდნენ მისი უკანონო შენახვისათვის პასუხისმგებლობისაგან.

შეკრებილნი დაინტერესდნენ გამოძიების მიმდინარეობითაც. მინისტრის მოადგილე ბატონი დავით სარალიძე, რომელიც ამას კურირებს, სამართლიანად დასჯერდა მხოლოდ ციფრებს: სამაჩაბლოში მომხდარი ამბების გამო აღძრულია ასამდე სისხლის სამართლის საქმე, შვიდი მათგანი უკვე გადაეგზავნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს. დაკავებულია 28 კაცი. მაგრამ ბევრი საქმე გაუხსნელია, რადგან არიან ძალები, რომლებიც ხელს უშლიან საგამოძიებო მოქმედების განხორციელებას ეჭვმიტანილთა მიმართ. რაც შეეხება „მხედრიონს“: რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში დაკავებულია 50-მდე კაცი, საქმე, რომელსაც რესპუბლიკის პროკურატურა იძიებს, ერთიანდება საერთო წარმოებაში. მართლაც, უადგილოა პროფესიონალის კომენტარის მოსმენა გამოძიების დამთავრებამდე.

(დასასრული მე-2 გვ.)

მილიცია ამოცანებს შეასრულებს

(დასასრული).

შეეხნენ რა სამომავლო საქმეებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებმა არ დაუმალავთ შეშფოთება ზაფხულის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, როცა ჩვეულებრივ მწვავდება ისედაც რთული კრიმინოგენური ვითარება. ამისათვის მზადება უკვე ახლა დაიწყო, შემუშავებულია კონკრეტული ღონისძიებანი. მაგრამ არანაკლებ პროფილაქტიკურად ითვლება ყოველდღიური მუშაობა დამნაშავეობასთან საბრძოლველად. აქ შედეგები გვაქვს: ორ თვეში უვნებელვყავით 419 დამნაშავეთა ჯგუფი — ალბათ, არნახული ციფრია ჩვენი რესპუბლიკისათვის. უნდა ითქვას, შედეგი ისიც არის, რომ ადამიანებს აღარ ეშინიათ ქუჩაში გამოსვლა. შინაგან საქმეთა ორგანოებს განზრახული აქვთ კვლავაც ასე გაბედულად ებრძოლონ დამნაშავეობას ყველა უბანზე, „გამოცოცხლებული" „ქურდული ტრადიციების" ჩათვლით.

საინტერესო იყო კითხვა, როგორ თანამშრომლობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ახლანდელი ხელმძღვანელები, თუ გავითვალისწინებთ, რომ მინისტრი წინათ ეგრეთ წოდებულ არაფორმალებს მიეკუთვნებოდა, ხოლო მისი თითქმის ყველა მოადგილე — პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკების კოჰორტიდან არიან? მინისტრის პირველმა მოადგილემ ბატონმა რობინზონ თუშურაშვილმა ამას უპასუხა:

— ჩემი მოწვევა თანამდებობაზე, როცა მე ჯერ კიდევ წინა მთავრობის დროს ორგანოებიდან წასვლას ვაპირებდი, მოწმობს, რომ სიცრუეა ზოგიერთი იმდაგვარი განცხადება, თითქოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო დევნიდეს, მაგალითად, კომუნისტებს. ჩვენ ყველანი ჩვენი ეპოქის შვილები ვართ, რასაც ვერსად ვერ გაექცევი. მაგრამ ახლა სხვა კრიტერიუმებია: რამდენად გამოცდილი სპეციალისტი ხარ და როგორ გესმის მიმდინარე მოვლენები. ერთი სიტყვით, სირთულეები წარსულის გამო არა გვაქვს.

რა თქმა უნდა, შეკრებილთ აღელვებდა რეფერენდუმის საკითხი და ამასთან დაკავშირებით აფხაზეთში შექმნილი სიტუაცია. მინისტრმა გამოთქვა აზრი, რომ იქ 17 მარტს რეფერენდუმის მოწყობას შეიძლება მოჰყვეს მორიგი „ცხელი წერტილების" წარმოქმნა, რაც ხელს აძლევს ცენტრს. მან მოუწოდა საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების ადამიანებს მონაწილეობა მიიღონ 31 მარტის რეფერენდუმში და მხარი დაუჭირონ დამოუკიდებელ საქართველოს, სადაც ყველა თანაბარ უფლებებს მიიღებს. ისინი კი, ვინც მხარს არ დაუჭერს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ამ ძნელ ჟამს, საეჭვოა შემდგომში დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრების ღირსი იყონ.

საქინფორმი.

თანადგომა ეროვნულ მილიციას

როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველოში გახსნილია საქართველოს რესპუბლიკის მილიციის სპეციალური ფონდი, რომლის ანგარიშის ნომერია 000701301. ამ ფონდში შემოსული ფული მოხმარდება შინაგან საქმეთა ორგანოების თანამედროვე ტექნიკით აღჭურვას, გარდაცვლილ თანამშრომელთა ოჯახების დახმარებას, შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

მილიციის ფონდის ანგარიშზე უკვე შემოსულია გარკვეული თანხა. ამ ფულიდან სამინისტრომ მსუბუქი ავტომანქანები შეუძინა სამაჩაბლოში დაღუპული ქართული მილიციის თანამშრომელთა ოჯახებს.

მილიციის ფონდში თანხას რიცხავენ როგორც წარმოება-დაწესებულებები და კოოპერატივები, ისე ცალკეული მოქალაქეები. მაგალითად, მშენმრეწვკომპლექსის გაერთიანების კოლექტივმა 60.000 მანეთი შეიტანა მილიციის ფონდში, საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციამ — 50.000 მანეთი, ამდენივე შემატა ფონდს სამრეწველო-საწარმოო გაერთიანება „კახეთმაც", მთაწმინდის მშენბანკმა 5000 მანეთი ჩარიცხა ფონდში, საწარმოო გაერთიანება „განთიადმა" — 4053 მანეთი, სენაკის ჩაის კომბინატმა — 3000 მანეთი, საქალაქო საწარმოო გაერთიანება „თოლიამ" — 2410 მანეთი, მართლმადიდებლობის განმამტკიცებელმა დასმა — 2000 მანეთი, ტყავსაგალანტერეო ფაბრიკამ — 2720 მანეთი, და სხვა...

საქართველოს მილიციის მუშაკები გულითად მადლობას უხდიან ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს მატერიალური და მორალური თანადგომისათვის.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი, საქინფორმი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიაში ამომრჩევლების შეტანის წესი

1. **საარჩევნო** უბნის ტერიტორიაზე მუდმივად ჩაწერილი და ამავე დროს ამ ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრები ამომრჩევლები შეაქვთ ამომრჩეველთა ძირითად სიაში.

2. ამომრჩევლები, რომლებიც:

ა/ ცხოვრობენ მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და არსად არ არიან მუდმივად ჩაწერილი, მაგრამ ბოლო მუდმივი ჩაწერა ჰქონდათ საქართველოს ტერიტორიაზე;

ბ/ ცხოვრობენ მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, მაგრამ მუდმივად ჩაწერილი არიან საქართველოს სხვა დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე;

თუ მიმართავენ მოცემული საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიას, და თუ, ამასთანავე საუბნო საარჩევნო კომისიას აქვს რეალური საფუძველი იმისა, რომ ეს ამომრჩევლები ნამდვილად ცხოვრობენ მათ მიერ მითითებული მისამართით, ისინი შეტანილი იქნებიან მოცემული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა ძირითად სიაში (ასეთი საფუძველი შეიძლება იყოს: ორი ან მეტი მეზობლის დასტური, პირადი ნაცნობობა, მოცემულ ტერიტორიაზე გადმოსახლებულ მოქალაქეთა სიაში ყოფნა და ა. შ.).

3. ამომრჩევლები, რომლებიც მუდმივად არიან ჩაწერილი საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე მაგრამ ფაქტობრივად ვერ ცხოვრობენ ამ ტერიტორიაზე, არ შეაქვთ ამომრჩეველთა ძირითად სიაში, მაგრამ მათი სია ცალკე ინახება საუბნო საარჩევნო კომისიაში. თუ ეს მოქალაქეები არჩევნების დღეს კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდებიან ამ საარჩევნო უბანში, მათ შეიტანენ ამომრჩეველთა დამატებით სიაში.

• • •

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არსებული ოფიციალური მონაცემებით საქართველოს რესპუბლიკაში 1990 წლის 28 ოქტომბრისათვის იყო 3.444.002 ამომრჩეველი, მათ შორის აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 333.747, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში — 230.501.

საქინფორმი.

საქართველოში 110 თავადური გვარია, აქედან ერეკლე II სიგელების მიხედვით, სამოცამდე ქართლ-კახეთის მკვიდრია, დანარჩენი კი დასავლეთ საქართველოსი. სამწუხაროა, მაგრამ თავადთა გვარ-ტომის ამ ნუსხიდან, რვა გვარი აღმოსავლეთ საქართველოში უკვე აღარ არსებობს. იგივე ხურათია მოსალოდნელი საქართველოს სხვა კუთხეებშიც. რაც შეეხება თბილისს — მას მხოლოდ რამოდენიმეღა ოჯახი შემორჩა, დიდგვაროვანთა 340 წევრამდე.

ცხოვრების ბედუკუღმართობამ ლამის ფიზიკურ განადგურებამდე მიიყვანა წმინდა ქართული სისხლი და არია იგი უთვისტომოთა შორის. მაგრამ, ქართული კოდი არ წაბილწულა და კვლავ ჩვენი სისხლის სიწმინდის მარეგულირებელია.

ჩრდილოეთის ქვეყნებმა სამშობლოს მზის სხივს იძულებით მოწყვეტილ ქართველ გვირგვინოსანთა სამეფო კარს თავისებური დაღი დაასვა შერალდიკაშიც, რომელმაც რუსული სიმბოლიკა იგუა საგვარეულო ღირსების გარშემო.

ბოლო ათწლეულების მანძილზე კი, დევნილი, დაშინებული თავადაზნაურობა სკივრის ფსკერზე ინახავდა საგვარეულო განძს, მეფეთა სიგელებს, ათასნაირი მფლობელობის უფლებებს, საოჯახო არქივებსა და რელიქვიებს... და ისე გადაცემდა შთამომავლობას.

დღევანდელმა ლტოლვამ თავისუფლებისაკენ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ, ასევე ერის სულიერი და ზნეობრივი სიწმინდის სურვილმა ჩასახა საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა წარმომადგენლებისა და მათ თანამდგომთა საკრებულოს შექმნის იდეა, ის ქალბატონ ია მუხრანელსა და ბატონ ოთარ ციციშვილს ეკუთვნოდა.

თავდაპირველად, საკრებულო 8 წევრისაგან შედგებოდა, მაგრამ გასული წლის 30 ნოემბერს, მის დამფუძნებელ კრებას 300-მდე კაცი დაესწრო. კრებამ გამგეობის თავმჯდომარედ ბატონი ედიშერ ბაგრატიონი აირჩია.

სულ ახლახან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ რეგისტრირებულ იქნა საქართველოს ისტორიულ-საგვარეულოთა წარმომადგენლებისა და მათ თანამდგომთა საკრებულოს წესდება.

ია კალანდარიშვილი.

რედაქციისაგან: დაინტერესებულ მკითხველს აქვე ვთავაზობთ საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა წარმომადგენლებისა და მათ თანამდგომთა საკრებულოს წესდებას.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს

დადგენილება

საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა წარმომადგენლებისა და მათ თანამდგომთა საკრებულოს წესდების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ადგენს:

რეგისტრირებულ იქნეს საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა წარმომადგენლებისა და მათ თანამდგომთა საკრებულოს წესდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თ. სიგუა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კანცელარიის მმართველი გ. ბერიძე.

საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა წარმომადგენლებისა და მათ თანამდგომთა საკრებულოს

წესდება

I. მიზნები და ამოცანები

1. **სრულიად** საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და პიროვნების თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟამს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართველი ხალხის ზნეობრივ-ეთიკური ნორმების, ძირძველი ტრადიციების შენახვასა და აღორძინებას. ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში ისტორიული გვარების წარმომადგენლებს დიდი როლი ეკისრებათ.

გასაბჭოების შემდეგ საქართველოში დაიწყო რწმენის, ეროვნული ტრადიციების, ძველი გვარებისა და ოჯახების ულმობელი განადგურება.

ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად საქართველოს ისტორიული გვარების შთამომავალთა სულიერი პოტენციალის ამოქმედებისათვის შექმნილი ისტორიულ საგვარეულოთა წარმომადგენლებისა და მათ თანამდგომთა საკრებულო (შემდგომში „საკრებულო" დამოუკიდებელი, ნებაყოფლობითი და საქველმოქმედო საზოგადოებაა.

2. საკრებულო საქმიანობს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად.

3. საკრებულოს უპირველესი ამოცანაა ეროვნული იდეალების ხორცშესხმა, სულიერი და ზნეობრივი ამაღლება, ეროვნული ტრადიციების აღდგენა, საკრებულო საფუძველს უყრის საქართველოს უძველესი გვარებისა და ოჯახების ისტორიული ღვაწლის, გენეალოგიისა და ჰერალდიკის მეცნიერულ შესწავლას, ხელს უწყობს ისტორიული სინამდვილის დადგენას.

4. საკრებულო აარსებს სპეციალურ ბიბლიოთეკას, მუზეუმსა და არქივს, რომლებშიც თავს მოუყრის და დაიცავს ნივთიერ და წერილობით ძეგლებს, ისტორიულ-საგანმანათლებლო ლიტერატურას, საოჯახო არქივებსა და რელიქვიებს და სხვა, შეისწავლის და გამოსცემს საოჯახო არქივებს, გამართავს მუდმივ და დროებით გამოფენებს, მოაწყობს კონფერენციებს, საჯარო ლექციებს გენეალოგიის, ჰერალდიკის, ეთნოგრაფიის, ისტორიის, რელიგიისა და სხვა საკითხებზე. იზრუნებს ისტორიული სახლების, მუზეუმების მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მათ აღდგენა-რესტავრაციაზე, ითანამშრომლებს იმ არქივებსა, მუზეუმებსა და სამეცნიერო ცენტრებთან, რომლებიც თავისი საქმიანობით უპასუხებენ საკრებულოს მოთხოვნებსა და ინტერესებს.

5. საკრებულოს მიზანია საკუთარი გაზეთის დაარსება, თავისი წევრების სამეცნიერო ნაშრომების, წიგნების, ალბომების, მოგონებებისა და დღიურების გამოცემა.

6. საკრებულო ამყარებს კონტაქტებს უძველესი ქართული გვარების შთამომავალთა წარმომადგენლებთან, რომლებიც მოღვაწეობენ საქართველოს ფარგლებს გარეთ.

7. საკრებულო აწარმოებს საქველმოქმედო საქმიანობას, დახმარებას უწევს უსახსროებს, მოხუცებს, ინვალიდებსა და ობლად დარჩენილ ბავშვებს, ხსნის სტუდიას, კლუბს, აწესებს პრემიებს, ნიშნავს სტიპენდიებს.

8. საკრებულო ქმნის საინფორმაციო ცენტრს, გენეალოგიის, ჰერალდიკისა და მეცნიერების სხვა დარგების კომპიუტერულ ბანკს, აარსებს გენეალოგიის ინსტიტუტს.

II. იურიდიული უფლებანი

1. **საკრებულო** იურიდიული პირია, აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბალანსი, ბანკში გახსნილი აქვს ანგარიშსწორების, მათ შორის სავალუტოც, ანგარიში, მრგვალი ბეჭედი, შტამპი, ბლანკები თავისი სახელწოდებით, ემბლემა.

2. როგორც იურიდიული პირი, საკრებულო უფლებამოსილია შეიძინოს და გასცეს უძრავ-მოძრავი ქონება, მიიღოს ყველა სახის ნივთიერი შემოწირულება, დადოს ხელშეკრულება სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და კერძო პირებთან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის დაცვით; იგი პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე, შეუძლია გამოვიდეს მოპასუხედ ან მოსარჩელედ სასამართლოში, არბიტრაჟსა და სამედიატორო სასამართლოში.

3. საკრებულოს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლია გახსნას საწარმოები და სხვა კანონით დაშვებული ორგანიზაციები.

III. საკრებულოს სახსრები

1. საკრებულოს სახსრებს შეადგენს:

— წევრების შესასვლელი და ყოველწლიური საწევრო შესატანები;

— გამოფენების და მუზეუმების, სამეცნიერო და მხატვრული პუბლიკაციებიდან, ბეჭდვითი საქმიანობიდან, საჯარო ლექციების, საღამოებისა და კონცერტებიდან მიღებული და სხვა კანონიერი შემოსავალი;

— საკრებულოს გამგეობის დაქვემდებარებული საწარმოებისა და სხვა სახის დაწესებულებათა შემოსავლიდან დაწესებული გადმონარიცხები;

— ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების (სამამულო და უცხოეთის) ნებაყოფლობითი შემოწირულობანი.

2. საკრებულოსთან გახსნილი საწარმოები, ფირმები და სხვა ორგანიზაციები სახელმწიფო ბიუჯეტთან ურთიერთობას, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური კონტაქტების შედეგად მოპოვებული ვალუტის გამოყენებას განახორციელებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საკრებულოს სახსრებს განაგებს გამგეობა.

IV. საკრებულოს წევრობა

1. საკრებულოს წევრობა შეუძლია უძველეს ქართულ გვართან გენეალოგიურად დაკავშირებულ ნებისმიერი ასაკისა და სარწმუნოების პირს, რომელიც აღიარებს წესდებას.

2. წევრად მიღება ხდება მიმღებ კომისიაზე და მტკიცდება გამგეობის სხდომაზე.

3. საკრებულოს წევრი ვალდებულია აქტიურად ჩაებას საზოგადოების საქმიანობაში, დაიცვას მისი წესდება და მისთვის მისაღები ზნეობრივი პრინციპები.

ის წევრი, რომელიც არ შეასრულებს წესდებას, საკრებულოდან გასულად ჩაითვლება. საკრებულოს თითოეული წევრი პასუხისმგებელია საერთო კრების წინაშე.

4. საკრებულოს ყველა წევრს უფლება აქვს აირჩიოს და არჩეულ იქნეს საკრებულოს ყველა არჩევით ორგანოში, გამოვიდეს ინიციატივით, მონაწილეობდეს მის საქმიანობაში და უფლება აქვს გააკრიტიკოს საკრებულოს ორგანოების საქმიანობა, საკუთარი სურვილით გავიდეს საკრებულოდან.

V. საკრებულოს უმაღლესი ორგანო

1. საკრებულოს უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს, თუ მას ესწრება საკრებულოს წევრთა ორი მესამედი სარევიზიო კომისიის ან გამგეობის გადაწყვეტილებით.

საერთო კრების კომპეტენციაში შედის: საკრებულოს გამგეობის, გამგეობის თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და სარევიზიო კომისიის არჩევა. ყველა მათგანი აირჩევა 5 წლის ვადით.

2. საერთო კრებებს შორის პერიოდში საკრებულოს განაგებს გამგეობა, რომლის შემადგენლობაში შედიან: — საკრებულოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, წევრები, საკრებულოს მდივანი და იმ კომისიების ხელმძღვანელები, რომლებსაც საჭიროების მიხედვით შექმნის გამგეობა.

გამგეობის კომპეტენციაში შედის საწესდებო საქმიანობის ოპერატიული გადაწყვეტა, საკრებულოს მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობა.

3. გამგეობის ფინანსურ საქმიანობას ამოწმებს სარევიზიო კომისია, რომელიც შემოწმების შედეგებს მოახსენებს გამგეობასა და საერთო კრებას.

4. ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება იწარმოებს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

VI. საკრებულოს ლიკვიდაცია

1. საკრებულოს ლიკვიდაცია ხდება საერთო კრების გადაწყვეტილებით ან კანონით დადგენილ სხვა შემთხვევაში. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი მთელი ქონება გადაეცემა საკრებულოს მრავალშვილიან ოჯახებს, ობოლ ბავშვებსა და ისტორიულ მუზეუმებს.

თვითმმართველობა

სოფლის ადგილობრივი მმართველობის ორგანოები

ბატონყმობის გაუქმებამდე სოფლის ადგილობრივი მმართველობის ორგანოები არ არსებობდა. გლეხობა მებატონეთა და პოლიციელთა ძნელად ასატანი „მეურვეობის" ქვეშ იმყოფებოდა. საგლეხო რეფორმის გატარებისთანავე, ბუნებრივია, დაისვა სოფლის მმართველობის ახალი პირობების შესაბამისად მოწყობის საკითხი.

1864 წლის 13 ოქტომბერს, თბილისის გუბერნიის საბატონო გლეხთა ბატონყმობიდან განთავისუფლების დებულებასთან ერთად, დამტკიცდა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შექმნის წესები, რომლის თანახმად სასოფლო საზოგადოებად უნდა გაერთიანებულიყო ყოფილ საბატონო გლეხებთან ერთად სახელმწიფო, საეკლესიო და ხიზანი გლეხები. უმაღლესად დამტკიცებული ამ ზოგადი „წესების" საფუძველზე შემუშავდა კონკრეტული დებულება, რომელიც 1865 წელს გატარდა თბილისის, ხოლო მომდევნო წელს ქუთაისის გუბერნიაში.

1865 წლის 11 აპრილის დებულების თანახმად საქართველოში დაარსებული სოფლის საზოგადოებრივი მმართველობა წარმოადგენდა გლეხთა წოდებრივ დაწესებულებას. სოფლის მოსახლეობის სხვა ფენები (თავადაზნაურობა, სამღვდელოება, მეშჩანეთა წოდებას მიწერილი ვაჭრები და სხვ.) მის საქმიანობაში არ მონაწილეობდნენ.

სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის უმაღლეს განმკარგულებელ ორგანოდ გამოცხადდა სოფლის ყრილობა. მის ფუნქციებში შედიოდა სასოფლო მმართველობის თანამდებობის პირთა არჩევა, სოფლიდან მავნე და დამნაშავე პირების გასახლების თაობაზე დადგენილების მიღება, საზოგადოებრივ საჭიროებებზე ზემდგომი ინსტანციების წინაშე შუამდგომლობების აღძვრა, სახაზინო და საერობო გადასახადების კომლთა შორის განაწილება და სხვ.

სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის აღმასრულებელი ხელისუფალი გახდა მამასახლისი, რომელსაც გლეხთა ყრილობა ირჩევდა. მის ფუნქციებში შედიოდა: გზების, ხიდების, სარწყავი არხების, წყალსადენების წესიერ მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის მეთვალყურეობა; კამერალურ აღწერათა ჩატარების ხელმძღვანელობა და კონტროლი; სახელმწიფო, საერობო და საადგილმამულო გადასახადთა დროულად აკრეფის უზრუნველყოფა. მასვე გარკვეული ფორმალობის დაცვით გლეხებისათვის უნდა მიეცა სასოფლო საზოგადოებიდან გაშვების მოწმობები და საშოვარზე წასვლის სანებართვო ბილეთები.

სასოფლო საზოგადოების ყრილობა, გლეხთა საერთო კრება თავის დადგენილება-განკარგულებათა სისრულეში მოყვანას, მართალია ანდობდა მამასახლისს, მის მოადგილეს (ნაცვალს) და გადასახადთა ამკრეფს, მაგრამ გლეხთა მიერ „არჩეული" მამასახლისები და თანამდებობის სხვა პირები არსებითად ასრულებდნენ არა გლეხთა სურვილს, არამედ მოქმედებდნენ მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციის (მაზრის უფროსი და სხვ.) ბრძანება-კარნახით. მამასახლისები სოფლებში აცხადებდნენ მთავრობის კანონებს და განკარგულებებს, აკავებდნენ მოხეტიალე პირებს და დეზერტირებს, სამაზრო პოლიციას ატყობინებდნენ სასოფლო საზოგადოებიდან უნებართვოდ წასულთა ვინაობას, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს და, თუ საჭირო იყო, მოითხოვდნენ პოლიციის რაზმს კანონის დარღვევათა აღკვეთისა და დამნაშავეთა შეპყრობისათვის.

დასახელებული დებულების საფუძველზე ჩამოყალიბდა აგრეთვე სასოფლო სასამართლოები. სოფლის ყრილობის მიერ არჩეული მოსამართლეები არჩევდნენ სამოქალაქო სამართლის საქმეებს, გლეხთა დავა-საჩივრებს 100 მანეთამდე ღირებულების ფარგლებში. უფრო მნიშვნელოვანი საქმეები გადაეცემოდა მომრიგებელ შუამავლებს და საოლქო სასამართლოებს.

სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შექმნას ცვლილება არ შეუტანია საგადასახადო სისტემაში. მაგრამ არსებული გადასახადების დამატებით დაწესდა ეგრეთწოდებული „საზოგადოებრივი გადასახადები", რომელიც გამოიყენებოდა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის საჭიროებისათვის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ზოგი ღონისძიების დაფინანსების, სოფლის გზების, სარწყავი არხებისა და წყაროების მოვლა-შენახვისათვის. საზოგადოებრივი თანხები ხმარდებოდა აგრეთვე ყარაულების დაქირავებას, სარეზერვო პურის მაღაზიების მოწყობას და სხვ.

საქართველოს პროგრესული საზოგადოება მიესალმა სოფლის მმართველობის მოწყობას, მაგრამ იმთავითვე შეამჩნია მისი ნაკლიც. ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა წერილები მამასახლისების, ნაცვლებისა და გადასახადთა ამკრეფების მექრთამეობასა და ძალადობა-ბოროტმოქმედებაზე, სოფლის მსაჯულთა უსამართლობაზე, მაგრამ კორესპონდენციათა ავტორები, მკაცრი ცენზურის არსებობის გამო, ვერ ბედავდნენ გაეკრიტიკებინათ მთავრობის მიერ შედგენილ-დამტკიცებული კანონ-დებულებები, რაც ძირითადად განაპირობებდა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის ნაკლოვანებებს.

„დებულების" მთავარი ნაკლი კი ის იყო, რომ იგი სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის ხელისუფლებას მხოლოდ გლეხებზე ავრცელებდა, მოვალეობას უშუალო მწარმოებელ და გადასახადთა გადამხდელ ამ კლასს აკისრებდა, იცავდა კი მოსახლეობის ზედა ფენების ინტერესებს. კანონის ეს ცალმხრივობა ქართველმა დემოკრატებმა იმთავითვე შეამჩნიეს. ი. ჭავჭავაძე, მაგალითად, აცხადებდა, რომ მამასახლისები ძირითადად თავადაზნაურობისა და ვაჭრების ინტერესებს იცავდნენ. „სოფლის სასამართლოც, — წერდა ილია, — ამ დღეშია. მას, წესდების ძალით, ხელი მიუწვდება მარტო გლეხკაცზე. თუ გლეხკაცმა დააშავა რამე... სოფელში მცხოვრებ თავადს, აზნაურს, მღვდელს, დიაკვანს, მედუქნეს ნება აქვს იქავ ხალხის თვალწინ, უხარჯოდ და მოუცდენლად, სოფლის სასამართლოს შემწეობით გადაახდევინოს გლეხს საზღაური, თუ არა გლეხმა გლეხს დაუშავა რაიმე, წაუხდინა, პირობა არ აუსრულა, საწყალი გლეხი, იძულებულია ათის, ოცის, ოცდაათ ვერსზე გაიქცეს, მომრიგებელ მოსამართლის მიმართოს, რამდენიმე დღე წასვლა-მოსვლაში დაკარგოს. მერე რამდენიმე თვე საქმის გარჩევას ელოდოს"... ყველა ეს იმისთანა მძიმე რამ არის გლეხისათვის, რომ მის გამო გლეხი უფრო ხშირად იძულებულია თავისი დაჩაგვრა გულში გაბოროტებით ჩაიმარხოს, ხელი აიღოს საჩივარზედ, გული აიყაროს კანონზედაც, რომელიც მისთვის ასე მიუწვდომელია, როცა დიდი სჩაგრავს, გული აიყაროს თავის სამმართველოზეც, რომელიც უღონოა დიდის წინაშე. რა წარმომადგენელია უფლებისა იგი წყობა, — განაგრძობს მწერალი და პუბლიცისტი, — რომელიც დიდის წინ ნაცრად იქცევა ხოლმე და დაბლის წინ ცეცხლად?! რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც დიდისაგან დაჩაგრულს არ ესარჩლება, არას შველის და რომელიც დიდისათვის კი თავს გამოიდებს... ჩვენი სასამართლო და მისნი მოხელენი, — დაასკვნის ილია, — პოლიციის ბრმა მსახურებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე სოფლის საზოგადოების ინტერესებს".

ი. ჭავჭავაძის წერილში მითითებული სოფლის საზოგადოებრივი მმართველობისა და სასამართლოს ამ არსებითი ნაკლის ნაწილობრივ მაინც გამოსწორება შეიძლებოდა ყველა წოდებისა და კლასისათვის საერთო სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შემოღებით, რომელიც უფლებასაც და მოვალეობასაც თანაბრად მისცემდა და დააკისრებდა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებს. ასეთი მოთხოვნა-წინადადება კიდევაც წამოაყენა ნ. ნიკოლაძემ. უფრო მოგვიანებით ეს საკითხი მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაციის მოხელეებმაც დასვეს, მაგრამ მისი გადაწყვეტა ვერ „მოახერხეს".

კავკასიის ადმინისტრაციას არ შეეძლო მთლიანად უგულვებელეყო საზოგადოებრივი აზრი და ანგარიში არ გაეწია გლეხთა უკმაყოფილებისათვის. 1885 წელს დონდუკოვ-კორსაკოვის განკარგულებით ჩამოყალიბდა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის ზოგი ნაკლის აღმოფხვრა. ამ კომისიის წინადადების შესაბამისად განხორციელდა სასოფლო საზოგადოებათა გამსხვილება მათი შეერთების გზით. გორის მაზრაში, მაგალითად, აქამდე არსებული 120 საზოგადოების ბაზაზე ჩამოყალიბდა 37 სასოფლო საზოგადოება. თითოეულ საზოგადოებაში, საშუალოდ შედიოდა 18 სოფელი და 770 კომლი გლეხი. ასეთ გამსხვილებულ სასოფლო საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა ჯამაგირი დაენიშნა მამასახლისისათვის, ამ თანამდებობას მიზიდულობის ძალა მიემატა და მამასახლისობას თავადაზნაურებიც აღარ უკადრისობდნენ.

XIX საუკუნის 80-90-იან წლების მიჯნაზე თბილისის გუბერნიაში არსებული 343 სასოფლო საზოგადოება აერთიანებდა 104967 კომლს, ქუთაისის გუბერნიის 208 საზოგადოება კი — 91791 კომლ გლეხს. სასოფლო საზოგადოებათა გამსხვილების შემდეგ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს საქმეები მოემატა, მაგრამ იმის გამო, რომ ძალიან გაძნელდა მრავალ სოფელში გაფანტულ გლეხთა ყრილობების მოწვევა, მეტი გასაქანი მიეცა მამასახლისების თვითნებობას. 1892 წელს, მაგალითად, ბევრ სასოფლო საზოგადოებაში ყრილობა არ მოწვეულა და არც ერთი განაჩენი არ შედგენილა. თითქმის ყველაფერი მინებებული იყო მამასახლისის და ზოგჯერ მისი თანაშემწის (ნაცვლის) „კეთილსინდისიერებაზე".

1896 წელს დონდუკოვ-კორსაკოვის ნაცვლად კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლად და კავკასიის კორპუსის სარდლად გენერალი გოლიცინი დაინიშნა. მან თავიდანვე მიზნად დაისახა მთავარსამმართველოს შტატების გაზრდა, რე — ფასების მომატება, ამიერკავკასიაში უფრო მცოდნე და გამოცდილი მოხელეების მიზიდვა და სოფლის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების რეორგანიზაცია.

1899 წლის 27 სექტემბერს კანცელარიის დირექტორმა მთავარმართებელს წარუდგინა ვრცელი მოხსენებითი ბარათი, რომელიც შეიცავდა დებულებას ამიერკავკასიის საგუბერნიო მმართველობის შესახებ.

ეს ახალი კანონპროექტი უცვლელად ტოვებდა ამიერკავკასიის დაყოფას 5 გუბერნიად, განსაზღვრავდა იქ ჩამოყალიბებულ დაწესებულებათა სტრუქტურასა და ფუნქციებს, მაგრამ არ ვრცელდებოდა იმავე მხარეში არსებულ სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებზე (დაღესტნისა და ყარსის ოლქები, ზაქათალის, ბათუმის, ართვინის და სოხუმის ოკრუგები), რომლებიც შედიოდნენ სამხედრო-სახალხო მმართველობის უწყებაში. მათი მართვა-გამგეობის ფორმებზე ცალკე დებულების შედგენა იყო გათვალისწინებული. დებულების პროექტის მეორე მუხლში აღნიშნულია, რომ ამიერკავკასიის გუბერნიებში მთავრობის დაწესებულებანი ყალიბდება რუსეთის საერთო კანონების საფუძველზე, მაგრამ მთავარმართებელთან საგუბერნიო დაწესებულების ურთიერთობა განისაზღვრება განსაკუთრებული წესით.

საგუბერნიო სამმართველოს ევალებოდა: 1) საპოლიციო უბნის უფროსთა მიერ წარდგენილი სასოფლო საზოგადოებათა იმ განაჩენების განხილვა-დამტკიცება, რომელნიც ეხებოდა მანკიერი პირების სოფლიდან გაძევებას, ცუდი რეპუტაციის მქონე ადამიანებისათვის სასოფლო საზოგადოებაში მიღებაზე უარის თქმას, უძრავი ქონების გაყიდვის ნებართვას და სხვ. 2) სასოფლო საზოგადოების ზემოაღნიშნულ განაჩენებზე შემოსული საჩივრების განხილვა; 3) უბნის უფროსებისა და სამაზრო ყრილობის მუშაობაზე მეთვალყურეობა, ამ დაწესებულებებში რევიზიის ჩატარება, მათი დადგენილებების წინააღმდეგ აღძრული საჩივრების განხილვა. გუბერნატორის ბრძანების თანახმად საგუბერნიო სამმართველოს უნდა დაემტკიცებინა მაზრის უფროსთა ბრძანებები სოფლისა და ოკრუგის თანამდებობის პირთა გადაყენების, აგრეთვე სამართლისათვის გადაცემის თაობაზე. ამტკიცებდა სამაზრო ყრილობის მიერ სოფლის მმართველობის თანამდებობის პირთათვის შედგენილ ინსტრუქციებს, აჩერებდა ისეთ დადგენილებათა გატარებას, რომელიც ამა თუ იმ ფორმით, არღვევდა კანონს, სცილდებოდა სამაზრო ყრილობათა უფლებამოსილების სფეროს. საგუბერნიო სამმართველოების ადმინისტრაციული ხასიათის გადაწყვეტილებებზე საჩივრების აღძვრა შეიძლებოდა სენატის წინაშე ერთი თვის ვადაში.

დებულების პროექტის თანახმად ამიერკავკასიის მმართველობაში მესამე ინსტანციას შეადგენდა სამაზრო ადმინისტრაცია, აგრეთვე ისეთი ქალაქების მმართველობა, სადაც არსებობდა მაზრის უფროსისაგან დამოუკიდებელი პოლიცია.

ამ ინსტანციაში მთავარი ხელისუფალი იყო მაზრის უფროსი. იგი განაგებდა მთელ მაზრას, მათ შორის ისეთ ქალაქებს, სადაც არ არსებობდა მაზრის უფროსისაგან დამოუკიდებელი პოლიცია. ამიერკავკასიის მაზრების უფროსებს ჰქონდათ ყველა ის უფლება-მოვალეობანი, რაც საერთო სარუსეთო კანონმდებლობით დაკისრებული ჰქონდათ მაზრის ისპრავნიკებს და პოლიცმეისტერებს შიგა რუსეთში.

ყოველი მაზრა იყოფოდა უბნებად, რომელთა გამგებლობა ევალებოდა უბნის უფროსებს. თვითმმართველი ქალაქები მოქმედებდნენ საერთო საიმპერიო საქალაქო დებულების საფუძველზე. თვითმმართველობის უფლებას მოკლებულ ქალაქებში კი კომუნალურ მეურნეობას განაგებდა ადგილობრივი პოლიცია მოქალაქეთა ზედაფენისაგან არჩეული დეპუტატების დახმარებით.

დებულების პროექტში უბანსა და მის მმართველობას, უბნის უფროსის უფლება-კომპეტენციის განსაზღვრას 96 მუხლი ჰქონდა დათმობილი.

ყოველი მაზრა იყოფოდა უბნებად, რომელთა საზღვრებს აწესებდა საგუბერნიო სამმართველო და ამტკიცებდა მთავარმართებელი. უბნის უფროსად და მის კანდიდატად შეიძლებოდა დანიშნულიყვნენ მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირები. მათი უქმარობის შემთხვევაში გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლის კურსდამთავრებულიც.

მთავარმართებლის მიერ დანიშნული უბნის უფროსები თავიანთ საქმიანობაში ექვემდებარებოდნენ გუბერნატორის ხელმძღვანელობას, ხოლო ადმინისტრაციულ-საპოლიციო მოვალეობის შესრულების დროს — მაზრის უფროსს, მას უდგენდნენ თავიანთი წლიური მუშაობის ანგარიშს.

უბნის უფროსებს უნდა შეესრულებინათ ყველა ის ფუნქცია, რაც აქამდე აწევათ ბოქაულებსა და მომრიგებელ შუამავლებს. ამის გარდა მათ ეძლეოდათ სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის კონტროლის უფლება, ევალებოდათ სოფლის მამასახლისთა ხელმძღვანელობა, სოფლის მმართველობის დადგენილება-განაჩენთა წინააღმდეგ აღძრული საჩივრების განხილვა-გადაწყვეტა. უბნის უფროსს უფლება ჰქონდა შეეჩერებინა სასოფლო საზოგადოების განაჩენთა აღსრულება და საამისო მოტივირება წარედგინა მაზრის უფროსთან. მასვე ევალებოდა მაზრის უფროსისათვის წარედგინა სასოფლო საზოგადოებათა ის განაჩენები, რომლებიც ეხებოდა სახაზინო, საერობო და სასოფლო გადასახადების აკრეფა-შენახვის წესებს, მცირემოსახლეობიანი სასოფლო-საზოგადოებათა გაერთიანების საკითხს. უბნის უფროსს უნდა განეხილა აგრეთვე სასოფლო საზოგადოებათა გადაწყვეტილებანი მანკიერი და დამნაშავე პირების სოფლიდან გაძევების შესახებ და თავის დასკვნასთან ერთად მაზრის უფროსის მეშვეობით გადაეგზავნა საგუბერნიო სამმართველოსათვის. უბნის უფროსს უფლება ჰქონდა შეუფერებელი ქმედებისათვის დაეჯარიმებინა და დაეპატიმრებინა კიდეც სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის თანამდებობის პირები.

სამოქალაქო სამართლის სფეროდან უბნის უფროსის განსჯა-გადაწყვეტას ექვემდებარებოდა 500 მანეთამდე თანხაზე ატეხილი დავა, დარღვეული მფლობელობა-საკუთრების აღდგენის საქმე, ზარალის საზღაურისა და ყველა ის დავა-საჩივრები, რაც აღიძვრებოდა მემამულეთა და მათზე დამოკიდებულ გლეხთა საადგილმამულო ურთიერთობის დროს. სისხლის სამართლის ხაზით კი უბნის უფროსი განიხილავდა და წყვეტდა ცხენებისა და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ქურდობის საქმეებს, სხვისი ტყის თვითნებურად გაჩეხვის და სხვა საქმეებს, რაც ადრე შედიოდა მომრიგებელი მოსამართლის ფუნქციაში. უბნის უფროსი სასჯელს ადებდა კანონისა და მთავრობის დადგენილება-განკარგულებათა დამრღვევებს, ჩხუბისა და აყალმაყალის ამტეხ პირებს.

1899 წლის კანონპროექტს არსებითი კორექტივი შეჰქონდა სასოფლო მმართველობაში. იგი ითვალისწინებდა საქართველოსა და ამიერკავკასიის სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის რეორგანიზაციას რუსეთის ცენტრალური გუბერნიების ნიმუშის ყაიდაზე.

დებულების პროექტისადმი თანდართულ ახსნა-განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ 60-იანი წლების რეფორმების გატარების დროს ამიერკავკასიაში შეიქმნა ერთი ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეული სასოფლო საზოგადოება, რომელსაც დაეკისრა ვოლოსტის (ქართული თემის შ. ვ.) ფუნქციებიც. ეს თითქოს გაკეთდა სასოფლო მმართველობის გამარტივების მიზნით, მაგრამ საკითხის ამგვარად გადაწყვეტამ შეუძლებელი გახადა გლეხთა თვითმმართველობის ორგანოების დამაკმაყოფილებელი სახით ჩამოყალიბება იმიტომ, რომ სასოფლო საზოგადოება და თემი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან.

თემი (ვოლოსტი), ნათქვამია შემდეგ ბარათში, არის ადმინისტრაციული ერთეული. იგი ემსახურება გლეხობას სწავლა-განათლების, მეურვეობის, სამედიცინო მომსახურების, მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესების და სხვა სფეროში. თემს უნდა ჰქონდეს შენობა სამმართველო აპარატისათვის, ნაგებობანი — სკოლის, სავადმყოფოს, თავშესაფრისა და სხვ. საქველმოქმედო დაწესებულებებისათვის. მას უნდა ჰყავდეს მწერალი და სხვა თანამდებობის პირები, რომელთაც უნდა აძლიოს გარკვეული ოდენობის ხელფასი. ამდენად თემი, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, აერთიანებს განსხვავებული ინტერესების სოფლის ან სოფლების მთელ მოსახლეობას, რომელსაც შეუძლია სათანადო ხარჯების გაღება ზემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებათა მოწყობისათვის. ამიტომ თუ ჩამოყალიბდება ტერიტორიულად და მოსახლეობით მცირე თემი, იგი ვერ შეასრულებს ადმინისტრაციული ერთეულის ფუნქციას, სასოფლო საზოგადოება კი, განაგრძობს განმარტებითი ბარათის ავტორი, ყალიბდება იმ გლეხებისაგან, რომელნიც დაკავშირებული არიან ერთმანეთთან მიწათსარგებლობითა და მეურნეობით, რის გამოც კანონი ითვალისწინებს ასეთი ერთეულების შექმნას ყოველ სოფელში და დაიწყება მხოლოდ ძალიან პატარა, რამდენიმე სოფლის შეერთება. რამდენიმე სოფლის შეერთების წესად გადაქცევით ირღვევა სასოფლო საზოგადოების არსი და ფუნქცია, მალე ცხადი ხდება, რომ ერთ საზოგადოებაში ხელოვნურად გაერთიანებულ სოფლებს აქვთ განსხვავებული ინტერესები და მათი განსხვავებული საქმეების გარჩევა ერთ კრებაზე შეუძლებელი ხდება.

ამდენად, დაასკვნის განმარტებითი ბარათის ავტორი, ნორმალური თემი თხოულობს წევრთა სიმრავლეს, ამის გარეშე სათემო მმართველობა ვერ შეასრულებს თავის ფუნქციას, სასოფლო საზოგადოება კი მით უფრო ნორმალურად მუშაობს, რაც უფრო მცირერიცხოვანია. ამიერკავკასიაში ორი ორგანიზაცია ხელოვნურად შეაერთეს და სწორედ ამან შექმნა რთული ვითარება.

(დასასრული მე-3 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითმმართველობა

სოფლის ადგილობრივი მმართველობის ორგანოები

(დასასრული)

ამ რთული მდგომარეობიდან ორგვარ გამოსავალს პოულობდნენ. ერთი: გუბერნატორი, გამოდიოდა რა იმ წანამძღვრიდან, რომ სასოფლო საზოგადოება უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო ერთეულს, აყალიბებდა მცირე სასოფლო საზოგადოებებს, რომელნიც თემის ფუნქციას ვერ ასრულებდნენ. მეორე კი რამდენიმე სოფლის შეერთებით ქმნიდა დიდ სასოფლო საზოგადოებებს. ისინი დამაკმაყოფილებლად ასრულებდნენ თემის ფუნქციას, მაგრამ ვერ წყვეტდნენ ხელოვნურად შეერთებული ამ სოფლების სამეურნეო საკითხებს.

ასეთ არანორმალურ საფუძველზე დამყარებული სასოფლო მმართველობა, კანონპროექტის ავტორთა აზრით, ვერც ერთ სფეროში ვერ პასუხობდა თავის დანიშნულებას. მას ნულზე დაჰყავდა სოფლის თვითმმართველობის მთავარი ორგანო სოფლის ყრილობა. დიდ სასოფლო საზოგადოებებში 50 კმ-ის რადიუსზე გაფანტული სოფლები შედიან და მის ყრილობას არ შეუძლია გადაჭრას ცალკეული სოფლებისათვის საინტერესო საკითხები. ბევრგან პრაქტიკაში დამკვიდრდა სოფლის ყრილობაზე შეკრება მხოლოდ მდიდარი გლეხებისა, რომელნიც მიღებულ განაჩენებს სოფლიდან სოფელში, კარიდან კარზე ატარებენ ხელმოსაწერად. ეს ფორმალობა ზოგჯერ იქამდე მიდის, რომ ერთმა გლეხმა ბრმად და წაუკითხავად ხელი მოაწერა იმ განაჩენზე, რომლითაც მამის სოფლიდან გასახლება ჰქონდა მისჯილი. სრულშემადგენლობიანი ყრილობა იკრიბება იშვიათად, ადმინისტრაციის მოთხოვნით და მიუხედავად იმისა, რომ მას მაზრის უფროსი ესწრება, ამ 500-კაციან ყრილობაზე ამტყდარი ღრიანცელის გამო შეუძლებელი ხდება აზრთა გაზიარება და გადაწყვეტილების მიღება. ასეთი იყო, პროექტის ავტორთა განცხადებით, პრაქტიკული შედეგი ორი განსხვავებული ორგანიზაციის შერწყმისა, სასოფლო საზოგადოების და თემის ფუნქციების ხელოვნურად გაერთიანებისა.

სოფლის თვითმმართველობის არსებული ორგანოებიდან დადებით გამონაკლისს თითქოს წარმოადგენდა სოფლის სასამართლო, რომელიც კანონპროექტის ავტორთა განცხადებით, მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ეს სასამართლო ახლოს იყო ხალხთან თავისი არსითა და ტერიტორიულადაც. თავისუფალი იყო ფორმალობებისაგან, სამართალწარმოების დროს ძირითადად ემყარებოდა ხალხის ადათ-ჩვეულებებს და საქმეებს სწრაფად და თანაც შედარებით სამართლიანად წყვეტდა. ამიტომ დებულების პროექტი ითვალისწინებდა ადრე მომრიგებელ შუამავალთა კომპეტენციაში მყოფი საქმეების ნაგრძნობი ნაწილის სოფლის სასამართლოსათვის გადაცემას. ოფიციალურ თვალსაზრისზე მყოფი მოხელეები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ საზოგადოებრივი აზრისათვის და დებულების პროექტში ჩაწერეს, რომ სოფლის სასამართლოს კომპეტენციაში უნდა გადავიდეს პრივილეგიურ წოდებათა წარმომადგენლების მიერ ჩადენილი სისხლისა და სამოქალაქო დანაშაულებების გარჩევაო.

თვით „დებულება“ ამიერკავკასიის სოფლის მმართველობისა და სასამართლოს შესახებ 151 მუხლისაგან შედგებოდა.

დებულების პირველი განყოფილება ეხებოდა სოფლის თვითმმართველობის დაბალ ინსტანციას — სასოფლო საზოგადოებას, ამ ერთეულის მმართველობის ორგანოებს, თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობებს.

სასოფლო საზოგადოების მმართველობას შეადგენდნენ: ა) სოფლის ყრილობა, ბ) მამასახლისი და მისი კანდიდატი; გ) მამასახლისის თანაშემწე და მისი კანდიდატი, დ) ურიადნიკი და გადასახადთა ამკრეფი. სოფლის ყრილობაზე იყო დამოკიდებული დაექირავებინა მწერალი, თუ მისი ფუნქციების შესრულება დაევალებინა მამასახლისის თანაშემწისათვის. მასვე უნდა დაედგინა თავის წრიდან აერჩიათ, თუ დაექირავებინათ სარწყავი არხების, სათადარიგო პურის მაღაზიების და სხვ. დაწესებულებათა ზედამხედველები.

დებულებაში ცალკე თავია სასოფლო საზოგადოების ყრილობის შესახებ. იქ აღნიშნულია, რომ მთელი სასოფლო საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხები განიხილებოდა საერთო ყრილობაზე, რომელშიც კომლთა უფროსებთან ერთად მონაწილეობდნენ მამასახლისი და თანამდებობის სხვა პირები, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის უფლებას მოკლებული იყვნენ ახალგაზრდები (21 წლამდე), ქურდობისათვის ნასამართლევი ან ადმინისტრაციული წესით გადასახლებაში ნამყოფი სოფლელები. გამოძიებაში მყოფი და სამართალში მიცემული პირები, მედუქნეები. ყრილობაზე, როგორც წესი, მამასახლისი თავმჯდომარეობდა, ხოლო როცა მამასახლისის არჩევნები ტარდებოდა ან მასზე შეტანილი საჩივრები განიხილებოდა, თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა უბნის უფროსი.

კანონის თანახმად სოფლის ყრილობას იწვევდნენ კვირა-უქმე დღეებში. მასზე განსახილველი საკითხები წინასწარ გამოეკვრებოდა კანცელარიაში, ეგზავნებოდა აგრეთვე [illegible] უფროსს. ყრილობის ფუნქციაში შედიოდა: სოფლის თანამდებობის პირთა და სასოკრუგო ყრილობის წევრთა არჩევა, სოფლიდან მავნე-მანკიერი პირების გასახლება, სასოფლო საზოგადოებიდან კომლის გაშვება და ახალი წევრის მიღება, ოჯახების გაყოფა, მცირეწლოვანთათვის მზრუნველ-მეურვეთა დანიშვნა, სათემო მიწების გადანაწილება, ფულადი და ნატურალური ვალდებულება-გადასახადების დაწესება, თანამდებობის პირთათვის ჯამაგირის დანიშვნა, საზოგადოებრივი თანხების აკრეფისა, შენახვისა და დახარჯვის წესების განსაზღვრა, სოფლის კუთვნილი პურის სათადარიგო მაღაზიიდან სესხების გაცემა, ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა კონტინგენტის განსაზღვრა, სოფლის საჭიროებაზე ზემდგომ ინსტანციებში შუამდგომლობის აღძვრა. სოფლის ყრილობის დადგენილება-განაჩენები კანონიერად იმ შემთხვევაში ჩაითვლებოდა, თუ ყრილობას ესწრებოდა მამასახლისი და კომლის უფროსთა ნახევარი მაინც. სხვა შემთხვევაში განაჩენი უქმდებოდა და უკანონო ყრილობის ჩატარებაზე დამნაშავე პირები პასუხისგებაში ეძლეოდნენ.

დებულების თანახმად სასოფლო საზოგადოებაში შემავალ მცირე სოფლებს და გლეხთა ცალკეულ ჯგუფებსაც ჰქონდათ კრებების ჩატარების უფლება. მასზე ხდებოდა მამასახლისის თანაშემწის, მეველის, მწყემსის და ღამის ყარაულის არჩევა; ინიშნებოდნენ მცირეწლოვანთა მეურვეები. შეირჩეოდნენ შუამდგომლობა-საჩივართა შემდგენელი რწმუნებულები. კერძო კრებებზე განიხილებოდა: საერთო სასოფლო მიწების განაწილებისა და გადანაწილების გაუქმებული ნაწილის სხვისთვის გამოყოფის და სხვ. საკითხები, რომელთა გადაწყვეტა საჭიროებდა სოფლის თანხმობას. ამ კერძო კრებებზე საკითხები წყდებოდა ზეპირად, ხმების უბრალო უმრავლესობით. მხოლოდ ზემდგომ ინსტანციებში გასაგზავნი საჩივარი უნდა დაწერილიყო და მამასახლისის მეშვეობით გაგზავნილიყო სათანადო მიმართულებით.

დებულებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სოფლის მამასახლისის უფლება-კომპეტენციის განსაზღვრას. იგი ექვემდებარებოდა თემის მამასახლისს და პასუხს აგებდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის სოფლის ფარგლებში. სოფლის მამასახლისს ეკისრებოდა როგორც საზოგადოებრივი, ისე საპოლიციო ვალდებულებანი, მის ფუნქციაში შედიოდა, კერძოდ, სოფლის ყრილობის მოწვევა, ამ ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება-განაჩენების აღსრულება; თანამდებობის პირთა და მეურვეთა კონტროლი; სარწყავ არხებზე, გზებსა და ხიდებზე მეთვალყურეობა; სახელმწიფო, საზოგადოებრივი; და საბატონო გადასახადთა აკრეფის უზრუნველყოფა; სკოლების, საავადმყოფოების, თავშესაფრების და სხვ. დაწესებულებათა საქმიანობისათვის კონტროლის გაწევა; კონტროლის დამყარება ტრაქტირებზე, დუქნებზე, სასტუმროებზე, სასწორებზე; საშოვარზე გაშვების მოწმობათა გაცემა, სოფლის მაღაზიის გამგებლობა; კანონისა და მთავრობის ყველა მოთხოვნილებათა შესრულება.

საპოლიციო საქმეთა სფეროში სოფლის მამასახლისს ევალებოდა აღეკვეთა ყალბი ხმები, დაეცვა საზოგადოებრივი წესრიგი, მცხოვრებთა პირადი უშიშროება და ქონება დამნაშავე ელემენტებისაგან, მიეღო ღონისძიებანი ტყის ხანძრების და უკანონო გაჩეხვის წინააღმდეგ, დაეკავებინა და მთავრობისათვის გადაეცა მაწანწალები, დეზერტირები, დახმარება გაეწია სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ ოჯახებისათვის, არ დაეშვა დანაშაულის ჩადენა, ხოლო თუ იგი მაინც მოხდებოდა, დაეპატიმრებინა დამნაშავე, ეწარმოებინა წინასწარი გამოძიება, შემდეგ კი გადაეგზავნა იგი უბანსა და მაზრაში. სოფლის მამასახლისს განსაკუთრებული გულისყურით უნდა აღესრულებინა ზემდგომი ორგანოების დადგენილება-ბრძანებანი, აგრეთვე სოფლის ყრილობის გადაწყვეტილებანი.

სოფლის მამასახლისს უფლება ჰქონდა მცირე დამნაშავენი დაეჯარიმებინა ერთი მანეთით, ან საზოგადოებრივ სამუშაოებზე გაეგზავნა ორი დღით. ადმინისტრაციის, პოლიციისა და სასამართლოს დადგენილება-გადაწყვეტილებათა შესრულების, ჩხრეკა-დაპატიმრების, ქონების აღწერა-გაყიდვის დროს სოფლის მამასახლისს თან უნდა ჰყოლოდა ორი მოწმე საპატიო მოხუცთა წრიდან. ამ საქმეების შესრულებისას სოფლის მამასახლისს ეხმარებოდნენ და ემორჩილებოდნენ თანაშემწეები და ადგილობრივი პოლიციის მოხელეები. მამასახლისის ბრძანების შესაბამისად მოქმედებდნენ აგრეთვე გადასახადის ამკრეფნი, რომელნიც თავისი მოქმედების ანგარიშს სოფლის ყრილობას უდგენდნენ, ხოლო ურჩ გადამხდელთა ვინაობას მამასახლისს აცნობებდნენ.

დებულებაში საკამო ადგილი ჰქონდა დათმობილი სასოფლო სასამართლოს, რომელიც ირჩევდა თემის ყრილობას და რომელიც თავის სხდომებს მართავდა თემის მამასახლისის თავმჯდომარეობით. 12 მოსამართლე სამ ჯგუფად იყოფოდა, ოთხ-ოთხი კაცი რიგრიგობით ასრულებდა სოფლის სასამართლოს ფუნქციას, სასამართლო საქმეებს არჩევდა ან თემის ცენტრალურ სფეროში, ან დანაშაულის ადგილზე. სოფლის სასამართლოს საქმიანობას კონტროლს უწევდა უბნის უფროსი.

სისხლის სამართლის ხაზით სოფლის სასამართლო არჩევდა: პირადი უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებს (მდინარეებსა და არხებში წყლის გაჭუჭყიანება, გაფუჭებული პროდუქტების გაყიდვა, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, ცილისწამება, დამუქრება, ცემა, დაჭრა-დასახიჩრება), ქონებრივი უფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებს (სხვისი მიწის დახვნა, მოძოვება, სხვისი მიწისა და სარწყავი წყლის მითვისება, არასწორი სასწორისა და არშინის გამოყენება, სხვისი პირუტყვის მოკვლა-დასახიჩრება, ხეხილის და ვენახის გაჩეხვა-დაზიანება, ქუდაბელ ყანასა და სათიბზე ურმის გატარება, ქურდობა, ძალადობა, სხვისი ქონების მითვისება, როცა მოპარულ-მითვისებულის ღირებულება არ აღემატება 100 მანეთს; საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. ეკლესიაში ლოცვის ჩაშლა, ჩხუბი, ლოთობა თუ ამას მოსდევდა მეურნეობის დაშლა).

129-ე მუხლში ჩამოთვლილი დანაშაულობებიდან სოფლის სასამართლოს ფუნქციაში არ შედიოდა თავადაზნაურთა, სამღვდელო პირთა და საპატიო მოქალაქეთა მიერ მესამედ ჩადენილი დანაშაული და ამ წოდებებთან დაკავშირებული ისეთი საქმეები, რომელთა ღირებულება აღემატებოდა 50 მანეთს. ამ შემთხვევაში დებულების ავტორები ბოლომდე თანამიმდევრული არ არიან. პრეამბულაში ისინი ლაპარაკობდნენ, რომ ყველა წოდებისათვის საერთო სასამართლოს ქმნიან, კონკრეტული მუხლის ფორმულირების დროს კი პრივილეგიურ წოდებებს არსებითად გამოთიშავდნენ სოფლის სასამართლოს იურისდიქციის სფეროდან.

სოფლის სასამართლოს უფლება ჰქონდა დამნაშავისათვის მიესაჯა: ჯარიმა 25 მანეთამდე, პატიმრობა 15 დღემდე; ცხენისა და პირუტყვის მოპარვის აგრეთვე ვენახის დაზიანებისათვის 30 დღემდე და დამნაშავისათვის დაეკისრებინა ზარალის ანაზღაურება. უფლება-კომპეტენციის ასეთ ჩარჩოებში სოფლის სასამართლოს აყენებდა უბნის უფროსი, რომელიც არასწორად მიღებულ განაჩენს აუქმებდა და საქმეს უგზავნიდა ზემდგომ სასამართლო ინსტანციას.

სოფლის სასამართლო ღებულობდა და არჩევდა როგორც წერილობით, ისე ზეპირ საჩივრებს.

საქმეთა გარჩევა მიმდინარეობდა საჯაროდ და ზეპირად. რუსულ ენაზე, ხოლო თუ მხარეებმა ეს ენა არ იცოდნენ, მაშინ ადგილობრივ ენებზე, საქმიანი მიმოწერა მხოლოდ რუსულ ენაზე იყო.

სოფლის სასამართლოს ენიჭებოდა სანოტარო კანტორის ზოგი ფუნქცია.

განხილული დებულების სხვადასხვა მუხლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კანონპროექტს მნიშვნელოვანი ცვლილებები შეჰქონდა 60-იან წლებში ჩამოყალიბებულ სოფლის თვითმმართველობაში. ნაცვლად სასოფლო საზოგადოებისა, რომელიც სასოფლო საზოგადოებისა და თემის ფუნქციას ერთდროულად ასრულებდა, ყალიბდებოდა ორი ერთეული — სასოფლო საზოგადოება და თემი. დებულების თანახმად სასოფლო საზოგადოების კრებას და მის მიერ არჩეულ თანამდებობის პირებს უნდა გადაეწყვიტათ საერთო სამეურნეო საქმეები, ხოლო თემის ყრილობას და მის მიერ არჩეულ სათემო სამმართველოს ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სოფლის სამართლის საქმეები. მაგრამ ამ ორი ერთეულის უფლება-კომპეტენციის შედარება ცხადყოფს, რომ კანონი ამ ერთეულებს ბევრ საერთო ფუნქციას ანიჭებდა და ამით არასასურველ პარალელიზმს ქმნიდა. საერთოდ სოფლის მმართველობის და სასამართლოს უფლება-კომპეტენცია რამდენადმე ფართოვდებოდა, მაგრამ კანონმდებლებს ბოლომდე ვერ მიჰყავდათ ყველა წოდებისათვის საერთო სოფლის მმართველობისა და სასამართლოს შექმნის საქმე. ადგილობრივი თვითმმართველობის ეს ორგანოები უფრო მკაცრი კონტროლის ქვეშ ექცეოდნენ, მათი მუშაობის მეთვალყურეობა ევალებოდა უბნის უფროსებს, რომლებსაც შიგა რუსეთის საერობო უფროსთა ანალოგიური უფლება-კომპეტენცია ეძლეოდათ.

საერთო და კონკრეტული მასალის შედარება-შეჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მომზადებული პროექტებით ნავარაუდევი დაწესებულებები, დეტალებში განსხვავდებოდა რა რუსეთის დაწესებულებებისაგან, შეესაბამებოდა რუსული სახელმწიფოებრიობისა და ადმინისტრაციული წყობის საწყისებს. პროექტებისა და წინადადებების ერთი ნაწილი გამსჭვალული იყო რეაქციისა და კონტრრეფორმების სულისკვეთებით. მაგრამ 1903-1904 წლებში შედგენილ კანონპროექტებში იგრძნობა ახალი, ძველისაგან რამდენადმე განსხვავებული მიმართულება. სხვადასხვა კომისიების წევრებსა და დიდმოხელეებს მიაჩნდათ, რომ ადგილობრივი პირობების ანგარიშგაწევით დაპროექტებული დაწესებულებები, უახლოეს მომავალში, როცა კავკასიის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების პირობები კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდებოდა რუსეთისას, ადვილად გარდაიქმნებოდა საერთო სახელმწიფოებრივი ყაიდის დაწესებულებებად. თავისთავად ეს კანონპროექტები, ითვალისწინებდნენ რა ერთგვაროვანი დაწესებულებების ფართო ქსელის შექმნით ამიერკავკასიის გაერთიანებას, ახალ ეტაპს ქმნიდნენ მისი რუსეთთან ადმინისტრაციული შერწყმის ხანგრძლივ პროცესში.

შალვა ვანიშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრის პროფესორი.

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ სამაჩაბლოს ლტოლვილების ფონდში.

საზღვარგარეთ

გორბაჩოვის გამოსვლა

გუშინ საკავშირო რეფერენდუმთან დაკავშირებით ცენტრალური ტელევიზიით გამოვიდა პრეზიდენტი გორბაჩოვი, რომელმაც მოსახლეობას კავშირის შენარჩუნებისთვის მოუწოდა. მან ხაზი გაუსვა, რომ საკავშირო რეფერენდუმის კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა ნიშნავს „მთლიანობაში შევინარჩუნოთ ათასწლოვანი სახელმწიფო, რომელიც მრავალი თაობის მსხვერპლით, მონდომებითა და გონებით არის შექმნილი.

ამ სიტყვებიდან გამომდინარე პრეზიდენტმა გორბაჩოვმა საქართველოს ისტორიის და არა მარტო საქართველოს, თვით რუსეთის ისტორიის უცოდინარობის გამო, ჩვენი სამშობლო, შეიძლება ითქვას, ვლადიმერ მონომახის პირველი რუსულ იმპერიაში მოაქცია. ხოლო გორბაჩოვის ამ აზრის სხვანაირი განმარტება პოლიტიკური „აფერის“ განმარტებას იძენს.

ათასწლოვანი სახელმწიფოს შექმნა-შენარჩუნების იდეა დიდი ხანია არსებობს და მის გასაცნობად გერმანიის „ათასწლოვანი რაიხის“ ისტორიაც კმარა: ეს შეხედულება სლავებისთვის და საბჭოთა კავშირის ზოგიერთი ხალხისთვის იქნებ მისაღებიც იყოს, მაგრამ ქართველისთვის სრულიად გაუგებარია, რადგან სასპერებს, დიაოხს, კოლხას და საქართველოს ეთნოგენეზისის კიდევ უფრო ძველ ფორმებს თავი რომ დავანებოთ, ქართული მიწა-წყლის გამაერთიანებელი მეფე ფარნავაზიდან დაწყებული დღემდე ჩვენთვის 2400 წელზე მეტია გასული. ასე რომ, რუსეთის ათასწლოვანი იმპერიის დაწყება და დღეს მის შენარჩუნებაზე ზრუნვა ქართველთა ინტერესებთან შეუთავსებელია. როდესაც რუსეთის „დერჟავა“ იშვა, მაშინ ქართველებს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ათობით საუკუნის ისტორია ჰქონდათ, ხოლო თანამედროვე რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში, როგორც არქეოლოგიური ძეგლები ადასტურებს, ე. წ. „გრძელყურიანთა“ კულტურის ხალხი იყო გაბატონებული.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რეფერენდუმზე „ჰო“ იმის გარანტიაა, რომ ომის ხანძარი არასოდეს აგიზგიზდება „ჩვენს ქვეყანაში“.

რუსეთისა და საბჭოთა იმპერიებში იძულებითი ყოფნის დროს საქართველოში განუწყვეტლივ იღვრებოდა სისხლი და ამის დასტურია ბოლო წლების ტრაგიკული მოვლენები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

მიხეილ გორბაჩოვმა საგულდაგულოდ აღნიშნა, რომ „მისი ღრმა რწმენით, თუ საბჭოთა საზოგადოება გაიპო, გამარჯვებული არ იქნება. ყველა წააგებს. ძნელია წარმოვიდგინოთ, რამდენი უბედურება მოჰყვება ქვეყნის დაყოფას, ხალხებისა და ადამიანების დაპირისპირებას. ეს მარტო ჩვენი უბედურება კი არ იქნება, „დერჟავის“ დაშლას, რომელიც დღეს თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ბერკეტია, მოჰყვება საყოველთაო შერყევა, მე ვიტყოდი, შერყევა არნახული მასშტაბისა“.

გორბაჩოვის ამ ფრაზებში ჩანს მისი იმპერიული აზროვნება და სულისკვეთება. აქ არის სიცრუეც, თითქოსდა საბჭოეთის დაშლით ყველა წაგებული იქნება, არის მუქარაც, რომ საბჭოეთის დაშლას დიდი უბედურება მოჰყვება. იგი პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ თბილისის, ბაქოს, ფერღანის, ვილნიუსისა და რიგის გაკვეთილების შემდეგ უნდა მივხვდეთ, თუ რა საშინელება მოგველის გორბაჩოვისაგან, თუკი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ვიბრძოლებთ.

საბჭოთა პრეზიდენტის ცინიზმი იქამდეც მიდის, რომ მას მოსკოვის იმპერია თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ ბურჯად მიაჩნია და მის დამხობას თითქოსდა მსოფლიო წარღვნა მოჰყვება. და ამას ამბობს ხელისუფალი, რომელიც სამი წლის განმავლობაში ცდილობდა თავისი წინამორბედების მიერ დაწყებული სისხლიანი საქმე ავღანეთში ბოლომდე მიეყვანა, ეხმარებოდა ერაყის დიქტატორს იარაღით თვით ქუვეითის ოკუპაციის მსვლელობაში და გაეროს სანქციით მრავალეროვნული ძალების ერაყთან ომის დროს.

პრეზიდენტმა აღნიშნა, ახლა ჩვენ ყველანი არჩევანის წინაშე ვართო, კარგად აწონ-დაწონეთ ყველაფერი ოჯახებში, ახლობელ-მეგობრებში, და გადაწყვეტილება ისე მიიღეთო.

ამაში კი ვეთანხმებით III რომად წოდებული რუსეთის იმპერიის შენარჩუნებისთვის შეშფოთებულ გორბაჩოვს. ამჟამად თითოეული ჩვენგანი ისტორიული არჩევანის წინაშე დგას: ან იბრძოლოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ან შეეგუოს თავის დღევანდელ ყოფას.

ჩვენ გვჯერა ქართველი ერის მებრძოლი სულისკვეთებისა, რომელმაც უარი თქვა 17 მარტს საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობაზე და ჩვენი რესპუბლიკის მოძმე ხალხებთან ერთად 31 მარტს ხმას მისცემს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღდგენას 1918 წლის 26 მაისის თავისუფლების დეკლარაციის საფუძველზე.

ყველაზე ძვირად ღირებული საერთაშორისო ლექტორი

27 ათას გირვანქა სტერლინგს მიიღებს ყოველი საჯარო გამოსვლისათვის დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი. ეს თითქმის იმდენივეა, რამდენსაც იგი წლიწადში იღებს როგორც ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატის წევრი, იუწყება გაზეთი „დეილი მეილი“ ამერიკის ფირმა „ვაშინგტონ სპიკერს ბიუროზე“ დაყრდნობით, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში აწყობს აუდიტორიების წინაშე თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა საჯარო გამოსვლებს და კონტრაქტი დადო ბრიტანეთის ყოფილ ხელმძღვანელთან. ეს უმაღლესი განაკვეთია ამ ფირმის კლიენტებისთვის. ტეტჩერის გარდა იგი დაუწესდა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტს რონალდ რეიგანს.

„საერთაშორისო სალექციო ქსელში“ ჩართვა დიდი პატივია ყოველი საზოგადო თუ პოლიტიკური მოღვაწისთვის. იგი უზრუნველყოფს მისთვის რეგულარულ გამოსვლებს სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე და საშუალებას აძლევს არამარტო პროპაგანდა გაუწიოს თავის შეხედულებებს და გავლენა მოახდინოს საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, არამედ მოიპოვოს და განიმტკიცოს კიდეც ფინანსური დამოუკიდებლობა.

ახალ სარბიელზე თავის საქმიანობას მ. ტეტჩერი დაიწყებს სამი ლექციით, რომლებიც უკვე გათვალისწინებულია შტატებში. მას შეუძლია თავისუფლად აარჩიოს გამოსვლების თემები თავისი შეხედულებისამებრ, ერთადერთი პირობაა — ისინი „სეროზული“ უნდა იყოს. თითოეული ლექციის ხანგრძლივობა 30 წუთია, პლუს ამდენივე — აუდიტორიის კითხვებზე პასუხის გასაცემად. ჰონორარის დამატებით ლექტორი იღებს აგრეთვე 3 ათას გირვანქა სტერლინგამდე „მიმდინარე ხარჯების“ — სასტუმროს, ტრანსპორტის, კვების ხარჯების დასაფარავად.

მ. ტეტჩერსა და რ. რეიგანს, რომლებიც ლიდერობენ ყველაზე ძვირად ღირებული ლექტორების სიაში, მისდევს სკანდალურად ცნობილი ამერიკელი მილიარდერის დონალდ ტრამპის მეუღლე, რომელიც ყოველი გამოსვლისათვის 23 ათას გირვანქა სტერლინგს იღებს. მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა სპარსეთის ყურის ზონაში ამასწინანდელი ომის პოპულარულმა გმირმა, სადამ ჰუსეინის საწინააღმდეგო კოალიციის სარდალმა გენერალმა ნორმან შვარცკოფმა (10-15 ათასი).

ლექციების მიღებული შემოსავალი მარგარეტ ტეტჩერს განზრახული აქვს გადასცეს თავისი სახელობის საქველმოქმედო ფონდს, რომლის მიზნები, როგორც მოელიან, უახლოეს ხანს გამოცხადდება. როგორც წარმომადგენელთა პალატის წევრი, იგი იღებს მყარ განაკვეთს — წელიწადში 28 ათას 970 გირვანქა სტერლინგს.

იხილავენ კანონპროექტს

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ასიგნებათა სენატის კომიტეტმა დაიწყო ერაყის წინააღმდეგ ომში უშუალო ხარჯების დასაფარად ასიგნებათა შესახებ კანონპროექტის განხილვა. ერთ-ერთი პირველი საკითხი, რომლებიც მისმა წევრებმა უნდა გადაწყვიტონ, მოულოდნელად გახდა თურქეთისადმი დახმარება. საქმე ის არის, რომ წარმომადგენელთა პალატის მიერ უკვე მოწონებულ ამ კანონპროექტის ვარიანტში თურქეთისთვის, რომელმაც გარკვეული ეკონომიკური ზარალი ნახა ერაყის კრიზისის შედეგად, რაიმე სახსრების გამოყოფა განზრახული არა ყოფილა. მაგრამ მაინც დოკუმენტით გათვალისწინებულია გამოიყოს 650 მილიონი დოლარი ახლო აღმოსავლეთში ამერიკის ისეთი მოკავშირისთვის, როგორიც ისრაელია, რომლის ეკონომიკა დააზარალა ერაყის სარაკეტო დარტყმებმა.

ბუშისა და მიტერანის შეხვედრა

საფრანგეთის მარტინიკის კუნძულზე ფორ-დე-ფრანსში დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის მოლაპარაკება, რომლის დროს განიხილეს სპარსეთის ყურეში ომისშემდგომი მოწყობისა და მთლიანად ახლო აღმოსავლეთის ვითარების მოწესრიგების პრობლემები.

არც ამერიკის, არც საფრანგეთის მხარეს არ დაუმალავს, რომ მოლაპარაკების დროს ვაშინგტონსა და პარიზს გადაწყვეტილი ჰქონდათ, უწინარეს ყოვლისა, გამოეძებნათ შეხების წერტილები ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგებისადმი მიდგომაში, რომელიც დღემდე განსხვავდებოდა.

ემზადებიან არჩევნებისთვის

თუმცა ინდოეთში პარლამენტის ვადამდე არჩევნები ფორმალურად ჯერ კიდევ არ გამოცხადებულა, ქვეყნის წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა ფაქტობრივად უკვე დაიწყეს წინასაარჩევნო კამპანია. რესპუბლიკაში უდიდესმა ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) პარტიამ, ცენტრისტულმა ალიანსმა ეროვნულმა ფრონტმა, მემარცხენე ძალებმა ინდოეთის ორი კომპარტიის — ინდოეთის კომპარტიის (მ) და ინდოეთის კომპარტიის მეთაურობით, აგრეთვე გავლენიანმა მემარჯვენე ნაციონალისტურმა ბჰარატია ჯანატა პარტიამ სავსებით დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის პრეზიდენტის რამასვამი ვენკატარამანის წინადადებას პარლამენტის სახალხო პალატის დათხოვნის შესახებ. თავის ოფიციალურ განცხადებაში ინდოეთის სახელმწიფოს მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი შემადგენლობით იგი უნდა შეიკრიბოს 5 ივნისამდე. არჩევნების უზენაესი კომისრის ტ. ნ. სეშანის თქმით, კენჭისყრა გაიმართება მაისის მეორე ნახევარში.

ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) ლიდერმა რაჯივ განდიმ განაცხადა, რომ პარტია სავსებით მზად არის იბრძოლოს მისი მეთაურობით არჩევნებში გამარჯვებისათვის. ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) საპარლამენტო ფრაქციის სხდომაზე გამოსვლისას, მან ხაზგასმით აღნიშნა: „1989 წლის არჩევნების შემდეგ დაირხა ხმები, რომ კონგრესი (ი) დაიშლება. მაგრამ სინამდვილეში გათიშვა მოხდა სხვა პარტიებში, ხოლო ინდოეთის ეროვნული კონგრესი (ი) ერთიანი დარჩა“. გამოცხადებულია, რომ რაჯივ განდი წინასაარჩევნო კამპანიას იწყებს შაბათს ბჰოპალში მოგზაურობით.

ამგვარად კონგრესს (ი) საეჭვოა მოუხდეს ბრძოლა „მარტოკას ყველას წინააღმდეგ“, როგორც ეს წლინახევრის წინათ იყო. ერთიანი ბლოკით გამოვლენ მხოლოდ ეროვნული ფრონტი და მემარცხენე პარტიები, რომლებიც უკვე შეუდგნენ მოლაპარაკებას ოლქების განაწილების შესახებ.

ოპოზიცია აქტიურობს

ერაყში გრძელდება შეიარაღებული ოპოზიციის აჯანყება სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ. „სახალხო ძალები კონტროლს უწევენ ერაყის სიდიდით მეორე ქალაქ ბასრას. ამერიკის შეერთებული შტატების ოფიცრებსა და უცხოელ ჟურნალისტებს შეუძლიათ ეწვიონ ქალაქს და ეს თავიანთი თვალით ნახონ“, — განუცხადა ირანის საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტს ჰუსეინის რეჟიმისადმი უდიდესი ოპოზიციური ორგანიზაციის „ერაყის ისლამური რევოლუციის უმაღლესი ასამბლეის“ წარმომადგენელმა. ამ ასამბლეის შტაბ-ბინა თეირანშია. როდესაც ამერიკელებმა დაიწყეს სამხედრო ოპერაციები ქუვეითში, „უმაღლესი ასამბლეის“ ლიდერი მუჰამედ ბაქირ ალ-ჰაკიმი დილემის წინაშე აღმოჩნდა: ერთი მხრივ, იგი ჰუსეინს სასტიკ ოპოზიციაში ედგა, რადგან ერაყის დიქტატორმა მისი ოჯახის წევრი სიკვდილით დასაჯა, მეორე მხრივ, ისლამური სოლიდარობის გამო იგი ამერიკელთა კრიტიკით გამოდიოდა. ახლა როდესაც ქუვეითში ბრძოლები შეწყდა და ჰუსეინის ძალა შესუსტდა, ალ-ჰაკიმის შეიარაღებული ძალები ირანიდან ერაყში გადავიდა „ისლამური დროშით“ შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო ჰუსეინის წინააღმდეგ. ცხადია, ერაყის აჯანყება ირანის ე. წ. ისლამური რევოლუციის ხელშეწყობით მიმდინარეობს. ამას აჯანყებულები არც მალავენ. იმან, რომ ერაყის ხელისუფლების სათავეში ჩაუდგებიან მუსლიმანები, არ უნდა შეაშინოს დასავლეთი. ერაყელ მუსლიმანებს სურთ სამართლიანობა, თავისუფლება, თანასწორობა და მთავრობა, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა ექნება თავის მეზობლებთან და აქტიურად მიიღებს მონაწილეობას მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების დამყარების საქმეში, ხაზგასმით აღნიშნა ერაყის ისლამური რევოლუციის უმაღლესი ასამბლეის წარმომადგენელმა.

ბუში კანადაში

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მოკლე ხნით ეწვია კანადას, რომლის დროს მან პრემიერ-მინისტრ ბრაიან მალრონისთან ერთად განიხილა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების ომისშემდგომი მოწესრიგების პრობლემები. ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე, ჯ. ბუშმა თქვა, რომ პროგრესის მიღწევისათვის ახლა კლიმატი რეგიონში უკეთესია. მისი აზრით, ამერიკის შეერთებული შტატები კარგ პოზიციაშია, იმისთვის, რომ შეასრულოს მშვიდობიანი პროცესის კატალიზატორის როლი. პრეზიდენტს ამავე დროს არ აღუნიშნავს „რადიკალური ძვრა“ ისრაელის ან პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის პოზიციებში. მან თქვა, რომ „იმედი გაუცრუა“ ბუშმა, რომელსაც ადრე პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელობა სპარსეთის ყურის რაიონში კონფლიქტის დროს, როცა მხარი დაუჭირა ერაყს. ბ. მალრონიმ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ „ნდობა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციისადმი ნულს უდრის“.

პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა გამოთქვეს წუხილი ერაყში შექმნილი სიტუაციის გამო.

შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ იგი დიდად აფასებს „შესანიშნავ ურთიერთობას ერთიან კანადასთან“. ბუშის განცხადებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია კვებეკის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ფედერალური პარლამენტის კვებეკის ფრაქციის წევრმა ჟან ლაპიერმა პროტესტის წერილი გაუგზავნა ამერიკის ელჩს კანადაში: „ჩვენ არ მივემგზავრებით შეერთებულ შტატებში და არ ვასწავლით ამერიკელებს, თუ როგორ იცხოვრონ“. ლაპიერმა ისიც დასძინა, რომ კანადის პრემიერმა ბრაიან მალრონიმ ბუშის დიდი ავტორიტეტი გამოიყენა იმისთვის, რომ განემტკიცებინა კანადის ფედერაციის ერთიანობის კურსი.

შეგახსენებთ, რომ კანადის სამხრეთ-აღმოსავლეთი პროვინცია კვებეკი, სადაც მდებარეობს კანადის უმნიშვნელოვანესი კულტურული და ინდუსტრიული ქალაქი მონრეალი, უკვე რამდენიმე ათეული წელია პარლამენტური გზით ცდილობს კანადიდან გამოყოფას. კვებეკის პროვინციაში, რომლის მოსახლეობის 80 პროცენტი ფრანგია, დაახლოებით 70 პროცენტი გამოყოფის მომხრეა, იგი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით და ჰიდრორესურსებით, ეკონომიკური მაჩვენებლებით კი მეორეა კანადის პროვინციებს შორის. მისი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 108 მილიარდი დოლარია და ბელგიის ანალოგიური მაჩვენებლის ტოლფასია.

საკუთარ სახლში

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

ამ ცოტა ხნის წინათ, გავრცელდა ხმები იმის თაობაზე, რომ ხულოს რაიონის ცენტრში არსებული სკოლა-ინტერნატის ბაზაზე გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი. ამ ცნობამ ადგილობრივი მოსახლეობის ერთი მცირე ნაწილის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, რადგანაც ეს ფაქტი, როგორც ჩანს, მავანთა ჩაგონებით აღქმული იქნა მუსლიმანური რწმენის წინააღმდეგ მიმართულ წინასწარ მოფიქრებულ აქტად.

13 მარტის „საქართველოს რესპუბლიკაში“ კი გამოქვეყნდა საქინფორმის ცნობა იმის თაობაზე, რომ ხულოს სკოლა-ინტერნატი გადაკეთდა სასულიერო სასწავლებლად. საკითხის სიცხადისათვის მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მიმემართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-თვის. უწმინდესისა და უნეტარესის უშუალო თაოსნობითა და რჩევით შევხვდი ბათუმ-შემოქმედის მიტროპოლიტ მეუფე კონსტანტინეს. უწმინდესთან და უნეტარესთან და მეუფე კონსტანტინესთან საუბრების შემდეგ, მათივე თანხმობით უფლებამოსილი ვარ საზოგადოებას განვუცხადო შემდეგი: საპატრიარქოს მიზნად არ ჰქონია ხულოს სკოლა-ინტერნატის გადაკეთება სასულიერო სასწავლებლად და ეს ინფორმაცია დაზუსტებას მოითხოვს. სინამდვილეში საქართველოს ეკლესიამ საქველმოქმედო მიზნით მეურვეობა იკისრა ხულოს სკოლა-ინტერნატზე. ამასთანავე სკოლა-ინტერნატში კვირაში ორი საათი დაეთმობა სღვთო სჯულის გაკვეთილებს. თავისთავად ამ ფაქტში არაფერი არ უნდა იყოს მიუღებელი, რადგანაც აღნიშნულ გაკვეთილებზე დასწრება თავისუფალი იქნება და არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ძალდატანებას. სხვათაშორის შარშან, როცა სხალთის მონასტრის წინამძღვარი იყო მამა იობი, ხულოს რაიონის ზოგიერთ სკოლაში ტარდებოდა მსგავსი გაკვეთილები და ამას არავითარი საწინააღმდეგო რეაქცია არ მოყოლია. ეს ბუნებრივიცაა! ხულოს რაიონი ხომ სწორედ ის ერთ-ერთი რეგიონია, საიდანაც დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ ხულოს რაიონის მოსახლეობაში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა ა. წ. 11-12 მარტს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურად ჩავედი ხულოში. სამწუხაროდ, ობიექტური მიზეზების გამო, სასაუბროდ ვერ შევხვდი ვერც სხალთის მონასტრის წინამძღვარს მამა გრიგოლს (გოჩა აბულაძე) და ვერც მოსახლეობის განაწყენებულ ნაწილს. სხვა ადგილობრივებთან საუბრებმა კიდევ ერთხელ ცხადი გახადა, რომ აქ ყველას კარგად ახსოვს უწმინდესისა და უნეტარესის დიდი გარჯა, როცა დიდი ტრაგედია დატრიალდა აჭარაში 1989 წლის 19 აპრილს. საქართველოს ეკლესია მაშინ დიდად დაეხმარა დაზარალებულთ, პატრიარქმა კი პირადად მოინახულა დაღუპულთა ოჯახები და პარაკლისი გადაიხადა დაღუპულთა სულების მოსახსენიებლად. ამასთანავე აჭარის მოსახლეობამ კარგად იცის და გრძნობს, თუ როგორი დადებითი დამოკიდებულებისაა პატრიარქი განსხვავებული რწმენის მიმდევრებისადმი, ეროვნული წარმომავლობის მიუხედავად.

მინდა, დავარწმუნო ჩემი რაიონის მოსახლეობა იმაში, რომ საქართველოს ეკლესია, საპატრიარქო არაფერს გააკეთებს ისეთს, რაც მიუღებელი იქნება მათთვის ან შეურაცხყოფს მათ რელიგიურ მრწამსს.

პატივისცემით
მიხეილ მახარაძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი.

საბედნიეროდ, თავის ფასში!

იშვიათად გაყიდულა ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში ავტომანქანის საბურავი თავის ფასში, ამის მტკიცებით მკითხველს არ დავღლით. რატომ და რისთვის იყო ასე — ამ კითხვებს კი ძალიან მოკლედ ვუპასუხებთ: როგორც ყოველგვარი სავაჭრო ურთიერთობის ფორმა, ასევე ავტონაწილების ყიდვა-გაყიდვის პროცესიც, საბჭოთა ცხოვრების პირობებში, ისეთი „ხიბლით“ იყო დაჯილდოებული, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა... და მაინც, რამდენჯერაც არ უნდა აევსოთ ციხეები ავტოსაბურავების გაზულუქებული გამყიდველებით, შენც არ მომიკვდე, საბურავის ფასი, ჩვენდა გასაოცრად, უფრო მეტად მიიწევდა წინ! ამ უბედურებას კი თუ რა ეშველებოდა, ამ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ალბათ, მხოლოდ, ღმერთმა იცოდა... მაგრამ დღეს, საბედნიეროდ, გაირკვა, რომ, თურმე ეს კაცსაც სცოდნია.

ჩვენ შევხვდით ქუთაისის მე-4 ავტომომსახურების სამქროს უფროსს ნ. ჯავახიძეს, რომელმაც, ვფიქრობთ, გულწრფელობით, უპასუხა კითხვას, თუ როგორ მიმდინარეობს დღესდღეობით საბურავების რეალიზაცია მათი სამქროს საწყობში.

შემოვა რა საბურავებით დატვირთული მანქანა სამქროში — თქვა ნ. ჯავახიძემ — ხდება მისი ჩამოცლა. იქვე მყოფნი, ვგულისხმობ სამქროში შემოსულ მოქალაქეებს, დაინახავენ რა ყოველივე ამას (ე. ი. საბურავებს) დგებიან რიგში და ადგენენ სიებს. ამის შემდეგ კი, საბურავების გაყიდვა მიმდინარეობს ე. წ. საპარლამენტო-სავაჭრო კომისიის ზედამხედველობით.

ვფიქრობთ, ნ. ჯავახიძის დახატული სურათი მკითხველისათვის ნათელია. მსგავსი შემთხვევა ამდედ, ალბათ, მისი მუშაობის პრაქტიკაში არ ყოფილა, არც იქნებოდა... არც არავის (ვგულისხმობთ ნ. ჯავახიძის კოლეგებს) მუშაობის პრაქტიკაში იქნებოდა მსგავსი რამ.

საინტერესოა, გრძნობენ თუ არა შეურაცხყოფილად თავს საბურავების გამყიდველები იმ დროს, როცა ისინი ზედამხედველობის ქვეშ მუშაობენ, ე. ი. საბურავებს ყიდიან. შეიძლება კი გრძნობენ... მაგრამ თხა და მგელი ერთად როგორი დასატოვებელია. საინტერესოა სანამდე უნდა უმეთვალყურეონ მათ?

ხომ უნდა დადგეს ჟამი პატიოსნად საქმის კეთების, თანაც ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე. სამწუხაროდ, სავაჭრო ორგანიზაციებში პატიოსანი ადამიანების დეფიციტსაც თუ გავითვალისწინებთ, ეს კითხვები ყველას თანაბრად, ღრმად დაგვაფიქრებენ.

გიგა ლიპარტელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც იყო...

ეს იყო ამ ათი წლის წინათ...

1981 წლის 25 დეკემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებთან ერთად ზეიმით აღნიშნეს საიუბილეო თარიღი — საბჭოთა საქართველოს საგანგებო კომისიის შექმნის 60 წლისთავი. ზეიმს არ აკლდა მაღალფარდოვანი სიტყვები, ტაშის გრიალი და შეძახილებით გაბრუებული მაყურებელი. აბა, რას იფიქრებდნენ მოზეიმენი, რომ „კგბ"-ს მომავალი 70 წლისთავის საიუბილეო აღნიშვნას არამცთუ საზოგადოებრიობა, თვით სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლებიც კი აღარ მოისურვებდნენ.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ წარსულის გახსენება აღარ არის საჭირო. პირიქით, მასზე ფიქრმა და ფაქტების ანალიზმა, უნდა გაგვინათოს სული, დაგვანახოს ახალი გზები, რათა მწარე წარსული აღარ განმეორდეს.

ამ სტრიქონების ავტორიც სწორედ თავისი ნაფიქრალის მკითხველისთვის გაცნობის სურვილმა მოიყვანა რედაქციაში.

თავისუფლების მოედნის ფონზე დღეს საოცრად ლამაზი და ამაყი მოჩანს ქართლის დედის ქანდაკება კეთილმსურველთათვის გამოწვდილი ფიალით და მომხდურისათვის შემონახული მახვილით. მაგრამ საქართველოს ისტორიაში განა ცოტაა იმის მაგალითი, როცა მტერი დამპყრობლურ მიზნებს აშკარად არ გამოხატავდა და მოყვრის ნიღაბს ამოფარებული სხვადასხვა მზაკვრული ხერხებით იტაცებდა ქართველთა სისხლით მორწყულ მიწას. გადიოდა წლები, ეს უცხო თესლი შეუმჩნევლად აღვივებდა ქართველთა შორის მტრობას, სიძულვილს, რასაც ხალხის გარკვეული ნაწილის გადაგვარება მოსდევდა. ალბათ ასე შევეჩვიეთ თავის განუზომელ განდიდებასა და ქებას, მოყვასის სიძულვილსა და „სხვათა" სიყვარულს. იქნებ ამიტომაც ირწმუნეს ჩვენს კალთას შეფარებულებმა, რომ ჩვენი ხალხის გული ყველასთვის ღიაა, რომ ქართ[illegible] ყველა უნდა შეივრდ[illegible] უნდა უშველოს, [illegible] დააკლოს და სხვა[illegible]რის სტუმარს მისცეს [illegible] სითბო, სიკეთე, არამედ საკუთარი კარ-მიდამო და, თქვენ წარმოიდგინეთ, მამულიც კი. უკანასკნელ ათწლეულებში ყოველივე ის ე. წ. „ინტერნაციონალიზმადაც" მოვინათლეთ და ახლა ვაი-ვაიში ძახილით შევცქერით, როგორ ერეკებიან ჩვენებს ძირძველი მამაპაპისეულიდან.

დღეს, როცა თავისუფლების სიომ დაჰბერა და მამულის თავისუფლებისათვის ბრძოლა დღითი დღე სულ უფრო იპყრობს თითოეული ჭეშმარიტი ქართველის სულსა და გონებას, ქართველები ჩვენს მიწაზე მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენელთაგანაც მოითხოვენ თანადგომას. მართლაც, სამართლიანია ჩვენი სურვილი, რადგან საქართველოს მომავლის შენებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ, ვისაც სურს ჩვენთან ერთად იცხოვროს და იშრომოს, აღზარდოს მომავალი თაობა. მაგრამ ამას სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური ატმოსფეროს შექმნა სჭირდება; სჭირდება გარანტი, რომელიც დაიცავს ჩვენს ერს ყოველი ხილული თუ უხილავი ხელყოფისაგან. ამ მიმართულებით განსაკუთრებული როლი დაეკისრება საქართველოს უშიშროების სამსახურს, რომელსაც ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეუძლია რესპუბლიკის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

ჩვენს საზოგადოებრიობაში ეს სამსახური ცუდი ავტორიტეტით რომ სარგებლობს, დღეს ეს ყველასათვის ნათელი და გასაგებია. მიზეზიც და საფუძველიც ამისათვის ბევრი არსებობს, მაგრამ განა ეს გვაძლევს იმის უფლებას, რომ მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს ფუნქციონირების სისტემაში მთლიანად უარვყოთ ასეთი სამსახურის აუცილებლობა?

ცნობილია, რომ დაზვერვა და კონტრდაზვერვა, ეს თითქოსდა ორი სხვადასხვა დანიშნულების სამსახური ერთ მიზანს უნდა ემსახურებოდეს — მამულისა და ხალხის უშიშროებას. სახელმწიფოს, რომელსაც კარგი დაზვერვა ჰყავს და რომელიც საჭირო ინფორმაციას იღებს მოწინააღმდეგეზე, შესაბამისად კონტრდაზვერვაც უნდა ჰყავდეს ამ ინფორმაციის ეფექტიანად გამოყენებისა და რესპუბლიკაში არსებული, მტრისთვის საინტერესო ინფორმაციის დაცვის მიზნით.

ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დაზვერვამ დიდი სამსახური გაუწია სპარსელებს ბერძნებთან ომში. სწორედ ბერძენთა მოღალატის ეფიალტის წყალობით შეძლეს სპარსელებმა დაემარცხებინათ სპარტელთა მეფე ლეონიდე.

საუკეთესო დაზვერვა ჰყავდა იულიუს კეისარს, იგი წარმატებით იყენებდა მას გალების ქვეყნის დაპყრობისას. თუმცა უფრო გვიან, მისმა კონტრდაზვერვამ (დღევანდელი გაგებით) ვერ შეძლო დროულად გამოემჟღავნებინა რომაელ რესპუბლიკელთა შეთქმულება.

უშიშროების საუკეთესო სამსახური ჰქონდათ დავით აღმაშენებელსა და დიდ თამარს. ამიტომ შეძლეს მათ ასე ბრწყინვალედ ემართათ სრულიად საქართველო. უშიშროების კარგი სამსახურის იმედი რომ არა, როგორ გაბედავდა დავით მეფე ყივჩაღთა დიდი მასების ჩამოსახლებას. და ბოლოს, ირაკლი მეორეს კარგი უშიშროების სამსახური რომ ჰქონოდა, ვინ იცის როგორ წარიმართებოდა სამეფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა და აქედან გამომდინარე მისი მომავალი?

უშიშროების სამსახური სხვადასხვა ქვეყანაში წარმოიშვა და განვითარდა თავისებურ ისტორიულ გარემოში. მათ ერთმანეთისაგან განსხვავებული ფუნქციები ჰქონდათ სახელმწიფო მექანიზმში.

ტოტალიტარულ სახელმწიფოებში უშიშროების ორგანოები დიდხანს დარჩნენ გაბატონებული ფენების, კლასების, პარტიების ინტერესების სამსახურში. მაგალითად, სსრკ-ში, ჩინეთში, ირანში, ლიბიაში, თურქეთში და სხვაგან. ამიტომ ასეთ სახელმწიფოებში დიდხანს შემორჩა პოლიტიკური რეპრესიები და ორგანიზებული დანაშაულობანი, რამაც ხალხისაგან დიდი მსხვერპლის გაღება მოითხოვა. გაბატონებული ფენების უნიათო პოლიტიკამ, განუხორციელებელმა უტოპიურმა ეკონომიკურმა და სოციალურმა გეგმებმა, რაც მძიმე ტვირთად დააწვა ხალხს, ფართო მასების აღშფოთება გამოიწვია, ამიტომაც იყო, რომ უკმაყოფილოთა დაწყნარების მიზნით მმართველი ძალები ცდილობენ კლასობრივი „მტრებისათვის" ან „მტრულად განწყობილი ელემენტებისათვის" გადაებრალებინათ მათივე უთაობა. ამ მხრივ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა უშიშროების სამსახური სსრ კავშირში.

საარქივო მასალების გაცნობის შემდეგ გაოგნებული რჩები. გექმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ სატანა განსაკუთრებით აღზევდა ამ საუკუნის ოციან და ოცდაათიან წლების სსრკ-ში. უამრავი ჯაშუში, დივერსანტი, მავნებელი, ტერორისტი, დამბეზღებელი, დამსმენი თუ ვინ იცის, კიდევ რა სახის დამნაშავეებით არ აივსო ქვეყანა. ყველა „ხალხის მტერი" გახდა. უმრავლეს შემთხვევაში ერთი მეორეს ასმენდა, ხოლო შემდგომ ეს მეორე პირველს. საბოლოოდ ორივენი „ხალხის მტრებად" ცხადდებოდნენ.

რიგ სახელმწიფოში კი უშიშროების ორგანოების არამიზნობრივად გამოყენებამ ზოგიერთ ერებს სახელმწიფოებრიობაც კი დააკარგვინა.

ამის დასადასტურებლად გავიხსენოთ თუნდაც 1918-1921 წლების საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, როცა პარტიათა შორის ატეხილი კინკლაობის პერიოდში უშიშროების სამსახური სრული უკონტროლობის ვითარებაში ფუნქციონირებდა. თუ რა შედეგებამდე მიგვიყვანა ამან, ყველასათვის ცნობილია. ვინ არ იცის, რომ მმართველი პარტიის გავლენით დადებულმა ხელშეკრულებამ (1920 წ. 7 მაისი), განსაკუთრებით კი მისმა საიდუმლო ნაწილმა, მოადუნა ქართველი ხალხის ეროვნული და უშიშროების ორგანოს თანამშრომელთა სამსახურეობრივი სიფხიზლე. შედეგმაც არ დააყოვნა. აღნიშნული ხელშეკრულების ძალით ლეგალიზებულმა ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა აშკარა ძირგამომთხრელი საქმიანობა გააჩაღეს. აწყობდნენ პოლიტიკურ მიტინგებს, დივერსიებს, თავიანთ მხარეზე იბირებდნენ სხვადასხვა მდაბალი სულის ადამიანებს, აწყობდნენ აჯანყებების ინსცენირებას არაქართულ მოსახლეობაში, არც აშკარა ღალატს თაკილობდნენ და სისტემატურად აწვდიდნენ მტერს საჯაშუშო ინფორმაციას.

ასეთივე „საქმიანობით" იყო დაკავებული რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოში. გამონაკლისს არც ჩვენი „დიდი მეგობარი", იმჟამინდელი ელჩი საქართველოში, მე-11 არმიის ერთ-ერთი მომავალი სარდალი ს. კიროვი და მისი ხელქვეითები წარმოადგენდნენ. სწორედ მათმა სადაზვერვო საქმიანობამ შეუწყო ხელი მე-11 არმიას განეხორციელებინა საქართველოს ანექსია.

მოულოდნელი იყო მთავრობისათვის ლორის „სახალხო აჯანყების" მომზადებაც. ასეთივე კერების შექმნა სოხუმის ოლქსა და ქვემო ქართლში. მოწინააღმდეგემ ასევე ფარულად შეძლო გარიგებოდა თურქეთს საქართველოს რესპუბლიკის საზიანოდ.

ძირითადი მიზეზები ამ ძირგამომთხრელი საქმიანობის დროულად შეუმჩნევლობისა, ალბათ უნდა ვეძებოთ იმდროინდელი დემოკრატიული საქართველოს უშიშროების ორგანოების საქმიანობის სისუსტეში, რასაც თავის მხრივ ხელს უწყობდა ხელისუფლების მაღალ წრეებში არსებული ინტრიგა, პარტიათა კინკლაობა და სხვა უთანხმოებანი. ცხადია, ასეთ სიტუაციაში უშიშროების ორგანოები ვერ შეძლებდნენ სტრატეგიული ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

ისტორიის ეს მწარე გაკვეთილები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: უშიშროების სამსახური უნდა ამაღლდეს მმართველი პარტიებისა და ვიწრო ჯგუფების ინტერესებზე მაღლა და ემსახუროს მხოლოდ რესპუბლიკის უშიშროების ინტერესებს.

შესაძლებელია თუ არა ეს დღევანდელ გარდამავალ პერიოდში? ფაქტია, — ეროვნული უშიშროების კომიტეტი უნდა ჩავაყენოთ რესპუბლიკის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტისათვის მიმდინარე საერთო-სახალხო მოძრაობაში. ეს კი შესაძლებელი გახდება სათანადო საკანონმდებლო აქტების მიღებისა და ამ სამსახურის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსადმი დამორჩილების შემთხვევაში.

როგორც ვიცი, ამ კანონებზე უკვე მუშაობს ჩვენი პარლამენტი და იმედი გვაქვს, რომ ეს სამსახურიც ღირსეულ წვლილს შეიტანს ჩვენი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უზრუნველყოფის მამულიშვილურ საქმეში.

ამ ბოლო დროს საქართველოს უშიშროების კომიტეტის სისტემაში ბევრი სასიკეთო ცვლილება მოხდა. საგაზეთო პუბლიკაციებმა კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგინეს ამ სამსახურში დასახული ძვრები და ერისთვის სასიკეთოდ გადადგმული ნაბიჯები.

ყველაფერმა ამან ახალი იმედები ჩაუსახა არა მარტო ამ ორგანოს თანამშრომელთა უდიდეს უმრავლესობას, არამედ მთელ ქართველ ხალხს. გვჯერა, რომ უნდობლობის ყინული თანდათან გალღვება, ეროვნული უშიშროების სამსახურში მოვლენ ღირსეული მამულიშვილები, რომლებიც მიუხედავად მსოფლმხედველობისა და პარტიულობისა, ერთგულად ემსახურებიან საქართველოს, მის მომავალს.

მალხაზ გაგუა,

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პოდპოლკოვნიკი.

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ ეროვნული გვარდიის ფონდში.

რედაქციისაგან: 1991 წლის 26 თებერვალს შესრულდა საბჭოთა საქართველოს საგანგებო კომისიის შექმნის 70 წლისთავი...

ხალისი გვქონოდეს!

გაუმარჯოს ეროვნულ ჩემპიონატს!

უმძიმესი დღეები უდგას საქართველოს! დღეს, ალბათ, ყველაზე მეტია თბილისშიც და მთელ საქართველოშიც ჩაფიქრებული, მოლოდინით სავსე სახეები! იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი წყდება. ბუნებრივია, ასეთი განწყობილება უნდა იგრძნობოდეს კიდეც ყველგან და ყველაფერში. მაგრამ, ქართველი კაცის ხასიათი, უპირველეს ყოვლისა, დიდი გასაჭირის დროს კლდესავით გამაგრება იყო. ჩვენ ყოველთვის გალიმებულნი და რწმენით განმტკიცებულნი ვხვდებოდით განსაცდელს! ამიტომაც, ვინც ქართველის ბუნებას იცნობს, ვერ იტყვის, რომ ღიმილისა და ხალისისათვის ადგილი არ დარჩა საქართველოში. დღეს, ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი იხსნება! და ეს ქართველი კაცისათვის ხალისია, ხალისი რომელსაც სპორტის გარდა დიდი ეროვნული დატვირთვაც ახლავს თან. იმიტომ, რომ საქართველოში ფეხბურთი მარტოოდენ ფეხბურთი არასოდეს ყოფილა! ეს საოცარი თამაში ჩვენთვის თვითგამორკვევისა და თვითგამოვლენის საშუალებაც იყო ყოველთვის! ამიტომ არ დაილევა ხალხი სტადიონზე, არ დადუმდება ტრიბუნა, რადგან ყველა გატანილი გოლის ყიჟინა მარტოოდენ სპორტული სიხარული არ გახლავთ! ჩვენ წინ მხოლოდ სინათლე მოსჩანს. მხოლოდ წინსვლა და ბედნიერებაა ჩვენი მამულის ხვედრი! ხალისი გვქონოდეს!

კოლეგები

განახლებული სახით დაიწყო გამოსვლა თავისუფალმა ახალგაზრდულმა გაზეთმა „საქმემ", მისი მიზანია, კვლავაც გააცნოს მკითხველს ახალი ეკონომიკური ურთიერთობანი, ფართო საზოგადოებას მიაწოდოს ობიექტური და ოპერატიული ინფორმაცია საქართველოს და საზღვარგარეთის ეკონომიკის განვითარებას ახალი ტენდენციების თაობაზე, სისტემატურად გააშუქოს საქმიანი წრეების წარმომადგენლების, ბაზრის კონიუნქტურის, მარკეტინგის საკითხები, დაეხმაროს საქართველოს მოქალაქეებს გაერკვნენ მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებში, ფასების ახალ სისტემაში, აგრეთვე წარმოაჩინოს საქართველოს ეკონომიკის ისტორიის საინტერესო მომენტები, გააშუქონ ლიტერატურის, ხელოვნების და პუბლიცისტიკის საკითხები.

გაზეთი გარკვეულ ადგილს დაუთმობს პოლიტიკასაც, რადგან პოლიტიკა და ეკონომიკა მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.

გაზეთი თვეში ორჯერ გამოვა

და სისტემატურად მიიღებს ორგანიზაციათა და კერძო პირთა რეკლამებსა და განცხადებებს. რედაქტორი — აკაკი სიხარულიძე.

ხომ არ დაგვემშვიდობება „ადიდასი?"

ამას გაზეთ „სარბიელის" მეათე ნომერში შეიტყობთ სხვა საინტერესო სპორტულ ინფორმაციებთან ერთად. ხოლო, რაც შეეხება თვით გაზეთს, იგი კვლავ აგრძელებს თავის, მართლაც საინტერესო, ჟურნალისტურ გზას.

მან უკვე საკმაო პოპულარობა მოიპოვა მკითხველებში. ხალასი, ოპერატიული, მომცველი ინფორმაციის სიუხვე გაზეთს არ აკლია, ამიტომ მისი მკითხველები მხოლოდ სპორტის მოყვარულნი როდი არიან. მათ კი ვისაც ჯერ არ შეუძენიათ ჯიბურებში „სარბიელი", გირჩევთ არ დაფიქრდეთ — ორმოცი კაპიკი ის თანხაა, რაც სპორტული ინფორმაციებით ინტერესს სრულად დაგიკმაყოფილებთ.

შიდა ქართლი

ვითარება ცხინვალში

15 მარტს ღამით ოსმა ექსტრემისტებმა კვლავ დაუშინეს ცეცხლი საქართველოს მილიციის შტაბს ცხინვალის შესასვლელში. ისინი თავს დაესხნენ აგრეთვე ქართულ სოფლებს ავნევსა და ერგნეთს. 14 მარტს ბანდიტებმა სოფელ მუხათთან სროლა აუტეხეს ავტომანქანას, რომლითაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული მუშაკები მიდიოდნენ ყორნისის რაიონში.

ცხინვალში დათარეშობენ სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული ბანდიტები. საქართველოს მილიციის ოპერატიული მონაცემებით, მათი რიცხვი ათასს აღემატება. ბევრი მათგანი ცხინვალში ჩაასახლეს იმ კომუნალურ ბინებში, რომლებშიც ლტოლვილი ქართველთა ოჯახები ცხოვრობდნენ. ოს ექსტრემისტებს მძევლად ჰყავთ აყვანილი ოცამდე ქართველი მოქალაქე, მათ შორის ყორნისში მცხოვრები მილიციის კაპიტნის რომან დურგლიშვილის ოჯახი. მილიცია ყველაფერს ღონობს მძევლების გამოსახსნელად.

15 მარტს დაახლოებით 14 საათზე ოსმა ექსტრემისტებმა ქალაქის საცხოვრებელი კვარტალებიდან ცეცხლი დაუშინეს სოფელ ზემო ნიქოზს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი, საქინფორმი.

რა ქნას კარგმა მონარდემ...

სასაცილოა-სატირალი რომ არ იყოს!

ანუ ერთი „მეტად საჭირო და სასარგებლო პირველობის" შესახებ

არა, ბატონებო! გასკდა გული! ამდენის მოთმენა აღარ შეიძლება!

მართლაც ყველაფრის ატანა შესძლებია ქაღალდს!

ნამდვილი შეჯიბრი და ძალთა გამოცდა მიმდინარეობს დღეს ასე მომრავლებულ ქართულ პრესაში.

ვეჯიბრებით ერთმანეთს ლანძღვა-გინებაში, დაბეზღებაში, დაცინვასა და მიწასთან გასწორებაში, დაკნინებასა და დამცირებაში. აღარ ვინდობთ არც კაცსა და არც ქალს, „ძმა ძმას წირავს, მამა — შვილსა".

დავივიწყეთ რაინდობა, კეთილშობილება, სათნოება, სიდარბაისლე და წარმოშობა ჩვენი.

საინტერესოა, როდემდე გაგრძელდება ყოველივე ეს?

თუმცა, შეჯიბრებები გრძელდება!

ამას წინათ, ერთ-ერთ გაზეთში, ერთ-ერთი ქალბატონის მოსაზრება გამოქვეყნდა მორიგ პირველობაზე: გაიმართოს ეროვნული ჩემპიონატი ნარდში, **სამოც წელს გადაცილებულ ქართველ მანდილოსანთა შორის(!!!)**.

მოსაზრება და წინადადება რომ დაიბადა და გამოქვეყნდა, ახლა გამოხმაურებები როგორი ჰქონდა?

აუჰ, ეს რა გენიალური აზრია, რა დიდებული და საჭირო საქმეაო, საჭიროა ამ საქმის სასწრაფოდ ხორცშესხმაო, ჩემპიონატი ფართოდ. უნდა გავაშუქოთ პრესასა და ტელევიზიაშიო, რაც შეიძლება მეტი პრიზები დავაწესოთო, დავარქვათ მას სიდედრების ჩემპიონატიო, სიძეებმა გარკვეული თანხა შეიტანონ პირველობის მაღალ დონეზე ჩატარების მიზნითო.

ერთი სიტყვით, წინადადება აიტაცეს და აჭრელდა გაზეთები!

ბატონებო და ქალბატონებო!

დღეს ომია საქართველოში. ყველამ კარგად უწყის რაც ხდება! ჩვენი სამშობლოს ყოფნა არ ყოფნის საკითხი წყდება.

ვითომ გვცხელა ამ პირველობისათვის?

სამოც წელს გადაცილებული მანდილოსნები, ჩვენი წინაპრები, რომელთა ხსენებაც ასე ხშირად გვიყვარს, ომის დროს ნარდში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს თუ... არ მინდა ამაზე ლაპარაკი, ყველამ ყველაფერი ვიცით.

კი ბატონო, ვერ აქტიურობ, ვერ იღებ მონაწილეობას დღევანდელ მოძრაობაში? დაბრძანდი სახლში, შვილიშვილებს მოუარე, იფიქრე „რით გამოვკვებო ოჯახი".

ასაკოვან ქალთა შორის ნარდის ჩემპიონატს ნუ მოაწყობ.

ნუ მოვკლავთ სიცილით ჩვენი მტრები!

ამაზე მეტი ცინიზმი, უმეცრობა და პროვინციალიზმი შეიძლება?

მადლობა ღმერთს, რომ შემოგვრჩნენ ქალბატონები, რომლებსაც უფრო სასარგებლო და ჭკვიანური აზრები მოსდით და საჭირო საქმითაც არიან დაკავებულნი.

ახლა შემომიკიჟინებენ: გაჭირვებისას ქართველები კიდეც ერთობოდნენ, კიდეც მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ქეიფობდნენო... აღარ მინდა ჩამოთვლა.

ალბათ, იმასაც გაიხსენებენ ოპერეტა „არშინ მალალანში" ერთი გმირი რომ მღერის! „გავაგოროთ ნარდი, გავაყოლოთ დარდიო".

ვითომ ასეა? არა მგონია!

თუმცა, როგორც სულმნათი ეროსი მანჯგალაძე იტყოდა — დავაცადოთ ჩემპიონატის დაწყებას.

საინტერესოა, სამოც წელს გადაცილებული რამდენი მანდილოსანი მიიღებს მონაწილეობას პირველობაში, სად ჩატარდება ეს „მნიშვნელოვანი" ღონისძიება. სპორტის სასახლეში, ოპერის თეატრში, ფილარმონიაში თუ ეროვნულ სტადიონზე.

რომელი სისტემით ჩატარდება — ევროპული თუ ქართული, გუნდური იქნება თუ ინდივიდუალური, თუ ორივე ერთად.

კუთხეების მიხედვით გამოვლენ მონაწილეები თუ ქალაქების და რაიონების მიხედვით.

გორება ჭიქებით იქნება თუ ხელით.

პარტიები „დავით" იქნება თუ „უდავოდ".

პირველობა მარტო მოკლე ნარდით ამოიწურება თუ ჩვენი ქალბატონები გრძელ ნარდშიც ცდიან ძალებს (დრო და სახსრები არა გაგვაჩნია თუ რა?!).

ვინ იქნებიან სპონსორები, რამდენი თანხა იქნება საპრიზო ფონდში, დაჯილდოებულებს ფულად თანხასთან ერთად საჭმელ-სასმელსა და საოჯახო ინვენტარსაც დაურიგებენ თუ...

ერთი სიტყვით წინ საინტერესო დღეები გველის.

აბა თქვენ იცით **„სამოც წელს გადაცილებულო"** ქართველო მონარდე ქალებო!

P. S. ვიცი, ამ წერილის გამოქვეყნების მერე, ბევრი დამატყდება თავს. უპასუხოდ დღეს ხომ არავის და არაფერს არ ვტოვებთ!

დაიბეჭდება „ღია წერილები" და „პასუხის პასუხები".

ეგ თქვენი ნებაა, დღეს ხომ დემოკრატია მეფობს ჩვენში!

მე კი, ჩემი მხრიდან პირობას ვიძლევი, თავზე რომ დამამხოთ ნარდი, თავის კამათელ-ქვებიანად, ამ თემაზე ხმის ამომღები აღარ ვარ.

ზურაბ გომართელი.

საკუთარ სახლში

მიტინგი უნივერსიტეტში

15 მარტს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსთან უმაღლესი სასწავლებლის რექტორატის ინიციატივით გაიმართა მიტინგი.

ყველა ორატორის გამოსვლის ლაიტმოტივი იყო რესპუბლიკის მთელი პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციის იდეა, აგრეთვე საქართველოს მთელი მრავალეროვანი მოსახლეობის ერთიანობისათვის მოწოდება 31 მარტს დანიშნული რესპუბლიკური რეფერენდუმის მხარდასაჭერად. ორატორებს შორის იყვნენ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები, საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ დღეს გამწვავებული პოლიტიკური მომენტის გამო, რომელიც საზოგადოებაში კონფრონტაციას იწვევს, ძალების პოლარიზაცია შეუწყნარებელია. ეს მხოლოდ ხელს აძლევს ცენტრის იმპერიულ ზრახვებს. გამოსულთა აზრით, შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი ხალხის მიერ არჩეული რესპუბლიკის პარლამენტის გარშემო შეკავშირებაა. საქინფორმი.

მხატვრობა

მიეძღვნა ავთო ვარაზის ხსოვნას



პოლიტიკით, გაუთავებელი რიგებით, ლოდინით, მიტინგებით გადაღლილი ხალხის ნაწილი მაინც მოვიდა მხატვრის სახლში გამოფენაზე, რომელსაც ავტორთა ჯგუფმა „სოციალიზმი, სოციალისტური რეალიზმი, ალტერნატივა" დაარქვა.

აქ, ძირითადად, ფართო აუდიტორიისთვის ნაკლებად ცნობილი მხატვრების — პოსტიმპრესიონიზმის, ექსპრესიონიზმის, კუბიზმის, პოპ-არტის და სხვა მიმართულებათა, გრაფიკოსების, ფერმწერების, აგრეთვე მოქანდაკეების ნამუშევრებია წარმოდგენილი. არ შეიძლება არ დაგვამახსოვრდეთ ავთო ვარაზის, სერგო კენჭაძის, გია ბადურაშვილის ქმნილებები.

გამოფენა მოეწყო საქართველოს მხატვართა და შემოქმედთა ასოციაციის ინიციატივით. გამომსვლელებმა ფართო აუდიტორიას გააცნეს ის მტკივნეული პრობლემები, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში დაუგროვდა მხატვართა წრეს. ამჟამად, ერთეული პიროვნებების მიერ ჩამოყალიბებულია მხატვართა ასოციაციები, გაერთიანებები (ფიროსმანის, ავანგარდისტთა, გამოყენებითი ხელოვნების, ხალხური შემოქმედებისა და სხვა). საჭიროა, სრულიად საქართველოს მხატვართა ყრილობაზე (რომელიც უახლოეს ხანში გაიმართება) შეიქმნას დამოუკიდებელი, სრულიად საქართველოს მხატვართა საზოგადოება — ასეთია მხატვარ სერგო კენჭაძის აზრი.

— ჩვენ გვინდა გავთავისუფლდეთ ტოტალიტარული აზროვნებისაგან. ხელოვანი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი დიქტატისაგან. მას უნდა მიეცეს აზროვნების, ფიქრის, ექსპერიმენტის საშუალება შემოქმედებაში. არც მხატვრებისთვის ჩაუვლია უმტკივნეულოდ იმ განუკითხაობის პერიოდს, რომელმაც მძიმე კვალი დააჩნია ქართველ ხალხს, შემოქმედებით დარგს. ბევრ მხატვარს ვერ მივაგეთ ჯეროვანი პატივი, ისე წავიდნენ ჩვენგან, ერთი გამოფენაც არ ღირსებიათ. მათ შორისაა ავთო ვარაზი, რომლის ხსოვნასაც ეძღვნება ეს გამოფენა. მისი შემოქმედება დღესაც გვაოცებს და ათას საფიქრალს გვიჩენს, — თქვა ფერმწერმა იური ზურიშვილმა.

საქართველოს სახალხო მხატვარმა თემო გოცაძემ ვრცლად ილაპარაკა გამოფენის მონაწილეთა შემოქმედების შესახებ და აღნიშნა:

„შემოქმედების გადაფასების დროს ჭეშმარიტი ხელოვნების გვერდით უნდა ვიყოთ. სამწუხაროდ, ხელოვნება ჩვენში ყოველთვის განიცდიდა დიქტატს. ამ ოცი-ოცდახუთი წლის განმავლობაში არა ერთი გამოფენის მნახველი და მონაწილე ვყოფილვარ და... გული მტკივა, რომ ახლანდელი გამოფენები თითქმის არაფრით განსხვავდება შინაარსობრივად იმ ძველისაგან. თუმცა იმედს არ ვკარგავ, რომ მოვლენ ახალგაზრდები და მოიტანენ იმ ინდივიდუალობას, თავისუფლებას, რაც ასე სჭირდება ხელოვანის სულს"...

საქართველო ყოველთვის მდიდარი იყო ნიჭიერი მხატვრებით. ჩვენი რთული, წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრება თავის ამსახველს ელის. მჯერა, თავისუფალი საქართველოს ბორკილახსნილი ხელოვნება კვლავ არაერთ ნიჭიერ შემოქმედს გამოავლენს.

ნანა მელიქაური.

სურათებზე: ავთო ვარაზის **„ახალგაზრდა ქალის პორტრეტი"** და სერგო კენჭაძის ტილო — **„ეძღვნება ავთო ვარაზის ხსოვნას".**

ფოტოები ავტორისა.



განცხადება

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნოს განმარტება

გაზეთ „7 დღის" რედაქციის მიმართ საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელ კავშირში შემოდის მრავალი შეკითხვა სხვადასხვა მასალების პუბლიკაციების გამო.

ჟურნალისტთა კავშირის სამდივნო განმარტავს, რომ თავის დროზე გაზეთი „7 დღე" შეიქმნა როგორც ჟურნალისტთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი. 1991 წლის 1 იანვრიდან რედაქციის კოლექტივის გადაწყვეტილებით გაზეთი გამოეყო ჟურნალისტთა კავშირს და გახდა სრულიად დამოუკიდებელი, რითაც ჟურნალისტთა კავშირის სამდივნოს მოეხსნა პასუხისმგებლობა გაზეთის მიმართ.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, [illegible] კოსტავას ქ. № 14
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-24,
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება საგაზეთო
კომბინატში, [illegible] ქუჩის ქ. № 29.
[illegible]

საქართველოს რესპუბლიკა